დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან რეხვიაშვილი
წევრები:
რაინდი როდონაია
ციცინო მექოშვილი
თეონა მაცაბერიძე
თამარ ჩალახეშაშვილი
ნათია მაკრახიძე
ნანა ყანჩაშვილი
ნინო ჯახველაძე
ჯულიეტა ტაბეშაძე
კობა დეკანაძე
მანანა როსტომაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235444257

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მარტვილი
იურიდიული მისამართი	სოფელი ნაჯახაო
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ნაგებერაო
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nageberao@mes.gov.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577125820

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N 932578 27/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მარტვილი სოფელი ნაგებერაო

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 24-25 აგვისტოს სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლაში შედგა ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტი. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან რეხვიაშვილი, ჯგუფის წევრი ექსპერტი რაინდი როდონაია და საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტი ციცინო მექოშვილი. დანარჩენი საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.ჯგუფის წევრების ერთობლივი მუშაობით შეიქმნა დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის მისიაში გამოკვეთილია, სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების აღზრდას, ასევე, ცხოვრების ჯასაღი წესის დამკვიდრებას მოსწავლეთა ცხოვრებაში. ამ მიმართულებით სკოლა მუშაობს აქტიურად პროექტების განხორციელების გზით. სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ამჟამად მუშაობს ორი კლუბი: კინომოყვარულთა და წიგნიერთა.
სკოლას აქვს თანამედროვე სპორტული დარბაზი შესაბამისი სპორტული აღჭურვილობით. სკოლაში ტარდება მრავალი სპორტული ღონისძიება, მათ შორის მხიარული სტარტები და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის ასოციაციის ერთობლივი პროექტი-,,ჩაერთე რაგბიში". მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ ღონისძიებებში. სკოლაში ჩატარდა ,,სასკოლო რაგბის ფესტივალი 2023". ფესტივალმა შეაჯამა ერთი წლის მუშაობა პროეექტისა ,,ჩაერთე რაგბიში" . ფესტივალში ნაგებერაოს სკოლის მოსწავლეების გარდა მონაწილეობდნენ სხვა სკოლის მოსწავლეებიც. ეს არის სკოლის ერთ-ერთი კარგი მიმართულება, მეზობელ სკოლებთან ურთიერთობა და საერთო პროექტების განხორციელება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ✓ ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	✓ ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ------120--------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში დასახელებუ ვადაში, 30.07.24-მდე მოიპოვოს სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფ საგანმანთლებლო საქმიანობისთვ შესაბამის ინფრასტრუქტურასა დ მატერიალურ რესურსს მინიმუ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პრობლე (საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის აღჭურვა) მოაგვარო შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში (28.07.24).
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემა (მეორ სართულზე ასასვლელი პანდუსის გაკეთება) მოაგვაროს შესაბამისობ გეგმით წარმოდგენილ ვადებში(30.07.24).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთ უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაამატო დაზუსტებული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთ უზრუნველყოფაც შესაძლებელია.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში სამუშაოდ აიყვანოს შრომ უსაფრთხოების სპეციალისტი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია მათემატიკის კურიკულუმების დიზაინი აგებული იყოს იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდებოდეს გრძელვადიან მიზნებზე: ამჟამად წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგი იქნება, თუ სამიზნე ცნებებს **მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა** გადმოიტანენ წინა სვეტში, რადგან სკოლის მაღალ საფეხურებზე კურიკულუმების დიზაინში ეს ნიუანსი გათვალსიწინებულია, ჯობია ამ საფხურზეც შეიცვალოს და სკოლის მათემატიკის კურიკულუმები იყოს ერთნაირ ფორმაში აწყობილი. სამივე საფეხურზე სასურველია მუშავდებოდეს აღნიშნული გრძელვადიანი მიზნები, ასევე კარგი იქნება, თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებლი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სასურველია, რომ მე-6 კლასში წილადები-ათწილადები დამოუკიდებელ ერთეულად დაამუშაონ.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	საგანში ,,მე და საზოგადოება" (III-IV კლ.) სასურველია თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საგანში ,,ჩვენი საქართველო" კი არასრულადაა თემები ასახული, თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სახელმწიფო ენაში მესამე-მეოთხე კლასის კურიკულუმი ჩარჩოებში სასურველია აისახოს, რა რესურსებს გამოიყენებ მასწავლებელი სასწავლო პროცესებში, მესამე-მეოთხე კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში კი სასურველია ჩასწორდეს სამიზნე ცნება, ფუნქციური სამეტყველო ქმედება ახალი ცნებით - სიტყვა, წინადადება, ტექსტი.
ინდიკატორი N 2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სასურველია ჩარჩოებში წარმოდგენილი კონტექსტმაგალითებ მეტად იძლეოდეს საკითხის, ქვეცნებების დამუშავების საშუალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

*ინდიკატორი N **2.3.1.1***	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლა გეგმავს დიაგნოსტირებას (სასწავლო წლის მანძილზ ერთხელ, თუმცა სასურველია ორჯერ მაინც განხორციელდ შედეგების შედარებითი ანალიზისათვის), მოსწავლეთა შედეგებ ანალიზი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	კარგი იქნება, თუ დაამატებენ მათემატიკის ყველა კლასში ე რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდა
ინდიკატორი N2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრა პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინ მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნი სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები დ საჭიროებები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა ნაგებერაოს საჯარო სკოლის მიერ მოწოდებული არგუმენტირებული პოზიცია.
1.სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლამ წარმოადგინა ეს დოკუმენტი. ვიზიტის დროს ნაგებერაოს საჯარო სკოლას არ წარმოუდგენია ასევე შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები. შედეგად 1.2. კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისად.
2.ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგარობის შესახებ დასკვნა. სკოლამ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შექმნილი საგანგებო სიტუაციების გეგმა, შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, სკოლას ჰქონდა მხოლოდ პროექტი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ დაიწყო ამ საკითხის მოგვარება, რასაც დაასრულებს 30.07.24. სკოლას მიეცა რეკომენდაცია პრობლემა მოაგვაროს შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი თარიღისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით 3.4. კომპონენტი შეფასდა როგორც "მეწტილად შესაბამება".
3. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ დაიწყო ამ პრობლემის მოგვარება, რასაც დაასრულებს 2024 წლის 7 ივლისს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული პრობლემა მოაგვაროს მოცემულ დრომდე. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი ან ლიფტი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ დაიწყო ამ პრობლემის მოგვარება და დაასრულებს 2024 წლის 30 ივლისამდე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია ზუსტად დაიცვას ვადები და დაასრულოს პრობლემის მოგვარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. შედეგად 3.5. კომპონენტი შეფასდა როგორც "მეტწილად შეესაბამება".
4.სკოლას ვიზიტის დროს დაწყებული ჰქონდა მუშაობა ვებ-გვერდის შესაქმნელად. ამჟამად სკოლას აქვს ვებ-გვერდი მასზე განთავსებული სრული ინფორმაციით. ამიტომ კომპონენტი N3.6 შეფასდა სრულად შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაგებერაოს საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის მისია ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ასევე, მათი სწავლების შედეგებსა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ამასთანავე, მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს კრიტიკული აზროვნება და აღზარდოს ისინი დამოუკიდებელ მოქალაქეებად. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სკოლის მისია ტექნოლოგიურ კომპეტენციებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე მოსწავლეთა ცხოვრებაში.
სკოლის ხედვის მიხედვით: ,,სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალის, ნიჭის გამოვლენასა და განვითარების ხელშეწყობაზე". სკოლის მიერ ჩატარებული აქტივობები, როგორებიცაა პროექტები, საკლუბო მუშაობა, სპორტული ღონისძიებები სკოლის მისიისა და ხედვის შესაბამისია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიზანია დამოუკიდებელი, კრიტიკულად მოაზროვნე, თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე, ჯანსაღი ცხოვრების წესის მქონე მოქალაქეების აღზრდა. სკოლის ხედვის მიხედვით ,,სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ, განვითარებაზე, რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულუფასოვან წევრად", რაც გვიჩვენებს, რომ სკოლის მიზანია იყოს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე. ამის დასტურია ის პროცესები , რომლებიც მიმდინარეობს სკოლაში. სკოლის საგაკვეთილო თუ არაფორმალური აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა უსართხოებისა და განვითარებისკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. ნაგებერაოს სჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა კითხვარი, რომლის შევსების შედეგად გამოიკვეთება მოსწავლეთა სურვილები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლასთან მიმართებით, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელია სკოლის მისიისა და ხედვის ჩამოყალიბების პროცესში. კითხვარში მოცემულია შემდეგი კითხვები:

1. დაასახელე პროექტი/ღონისძიება/აქტივობა რომელშიც ბოლოს იყავი ჩართული სკოლის ბაზაზე.
2. პროექტი/ღონისძიება/აქტივობა რომელმაც დიდი გამოცდილება დაგიგროვა?
3. რაში ეხმარება მოსწავლეს პროექტული აქტივობები?
4. რამდენად მისაღებია თქვენთვის სკოლაში არსებული შეფასების სისტემა?

5.რა სახის პროექტებს/ღონისძიების/აქტივობის განხორციელებას ისურვებდი სკოლაში?
6.საგანი, რომლის გაძლიერებასაც ისურვებდით.
7.რამდენად ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოყენება სასწავლო პროცესის წარმართვისათვის?
სკოლას აქვს კითხვარი მომზადებული სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც, რომლის შევსებისა და ანალიზის საფუძველზე სკოლას შეუძლია განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების სურვილები და გაითვალისწინოს ისისნი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სემუშავების დროს.

ამას გარდა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები მშობლებთან შეხვედრებზე საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა სურვილები გააჩნიათ სკოლის განვითარების თვალსაზრისით. მათ სურვილებსა და აზრებს სკოლა ითვალისწინებს სესაძლებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოჩნდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთები, ოქმები ან სხვა დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის. სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული პროექტები, აქტივობები ხელს უწყობს სკოლის მისიით განსაზღვრული საკითხების მოგვარებას. სკოლაში მიმდინარეობს როგორც პროექტული, ასევე კლუბური მუშაობა, რომელთა დაგეგმვისა და განხორციელების დროს ითვალისწინებენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად სკოლაში დიდი ყურადღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექცევა სპორტულ ღონისძიებებს, სკოლაში ფუნქციონირებს რაგბის გუნდი, რომელიც აწყობს როგორც შიდა სასკოლო, ასევე გასვლით თამაშებს და ყოველწლიურად ატარებს სასკოლო რაგბის ფესტივალს. სკოლაში მოქმედებს კლუბი ,,წიგნიერი", რომლის წესდებაშიც ვკითხულობთ: კლუბის მიზანია: მოსწავლეთა კვლევის, ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის უნარების გამოვლენა, ჩამოყალიბება და განვითარება; პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება და სხვ. მასწავლებლების მიერ იგეგმება ისეთი პროექტები, როგორებიცაა: ,,გლობალური საფრთხეები", ,, ხმაზე მორეაგირე ნათურა", ,,ნორჩი არქეოლოგი"და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. ნაგებერაოს საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებებიგამოკრულია სკოლის ფოიეში , ასევე განთავსებულია სკოლის ფეისბუქის გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევს აქვს საშუალება, რომ გაეცნოს მას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6.ნაგებერაოს საჯარო სკოლის სახელწოდებაა - ,,სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა", რაც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 (15/09/2005) ბრძანებით დადგენილ სახელწოდებას, ასევე საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას №194 (16/03/2007) „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ". **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა(პროექტი);

2. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;

3. სკოლის კითხვარი მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. მასწავლებლებთან გასაუბრება;

5. სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

6. სკოლის ფეისბუქის გვერდი https://www.facebook.com/nageberaossajaroskola/ ;

7.სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის წესდება;

8. კითხვარი სკოლის საზოგადოებისათვის;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ნაგებერაოს საჯარო სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, თუმცა სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი მუშაობენ აღნიშნულ დოკუმენტზე და ექნებათ უახლოეს პერიოდში. ამასთანავე, როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, პრაქტიკულად სტრატეგიული გეგმას შეიმუშავებს დირექცია კათედრების ანგარიშების, ხარისხის მართვის ჯგუფის ანგარიშის და დირექტორის მოადგილის სასწავლო- აღზმრდელობით დარგში ანგარიშის საფუძველზე.
   ნაგებერაოს საჯარო სკოლამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გეგმების შემუშავების სრულ პროცესს.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე, შექმნილია სტრატეგიული გეგმის შექმნის ჯგუფი. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა შექმნის და დაამტკიცებს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიულ გეგმის პროექტში განსაზღვრულია 9 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვასა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ღირებულებებს. სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტში მოცემულია სკოლის მიერ გაკეთებული SWOT ანალიზი: ძლიერი მხარეები (S – strengths)

- 120 მოსწავლეზე გათვლილი, სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა;
- 120 მოსწავლეზე გათვლილი სასკოლო ინვენტარი;
- კვალიფიციური პედაგოგები;
- კეთილმოწყობილი, მრაფალფუნქციური, დახურული სპორტული დარბაზი;
- სწავლების მაღალი ხარისხი;
- ადმინისტრაციის მზაობა;

სუსტი მხარეები (W – weakness)

- მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი;
- ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის არქონა;
- მშობელთა დაბალი ინტერესი სკოლის ცხოვრების შესახებ;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ინერტულობა;
- პროექტებსა და კვლევებზე მუშაობის ნაკლები გამოცდილება.

შესაძლებლობები (O – opportunities)

- მოთხოვნა სწავლების მაღალ ხარისხზე;
- სკოლის ცნობადობა და მაღალი რეიტინგი;
- საინფორმაციო შეხვედრების გამართვა და მშობელთა მოწვევა პროექტების პრეზენტაციებზე, მათი ჩართვა სასწავლო პროექტებში;
- სკოლაში, მასწავლებელთა საჭიროების მიხედვით შერჩეული შესაბამისი ტრენინგ-კურსების დაგეგმვა და ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფრთხეები (T – threates)

- მარტვილის მუნიციპალიტეტში დაბალი სოციალური ფონი;
- სკოლის ტერიტორიის იჯარის მსურველი პირის მიზნების არასაკმარისი წვდომა;
- მშობლების მხრიდან დროის სკოლის განვითარების საქმიანობებზე გულგრილი დამოკიდებულება/დროის დეფიციტი;
- მასწავლებელთა საჭიროების მიხედვით დაგეგმილი ტრენინგ-კურსების ჩაშლა მასწავლებელთა სიმცირის გამო.

ამ ანალიზის შედეგად სკოლას მიღებული აქვს 9 სტრატეგიული მიზანი: 1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; 2. სკოლის ბიბლიოთეკის განახლება მეთოდური ლიტერატურით; 3. მუნიციპალიტეტის დანარჩენ სკოლებთან პარტნიორობის გაღრმავება და საერთო ღონისძიებების დაგეგმვა; 4. გარე სპორტული მოედნების განახლება; 5. დამხმარე ნაგებობის აშენება; 6. სკოლის შიდა ეზოს მინი ბოტანიკური ბაღის გაშენება; 7. მაგნიტური დაფების შეძენა; 8. სკოლის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით განახლება; 9. სასკოლო საზოგადოების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში. სკოლის გუნდი სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულებს სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობას.

სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. თვითშეფასებას სკოლა აკეთებს სხვადასხვა სტრუქტურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სკოლის დირექტორი აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშს, რის საფუძველზეც ხდება მომდევნო სასწავლო წლის გეგმის შედგენა. დირექტორის ანგარიში კი იწერება კათედრების, მასწავლებლების, საკოლო საზოგადოების სხვა წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი შეიცავს ერთ წელში გასატარებელ ღონისძიებებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან. გეგმა შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. ნაგებერაოს საჯარო სკოლის ერთწლიანი გეგმის პროექტში წარმოდგენილია შესასრულებელი ამოცანები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. არ არის დაზუსტებული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც შესაძლებელია. მაგრამ სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ გეგმები სრულად ჩამოყალიბდება და დამტკიცდება სასწავლო წლის დაწყებისთვის.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის საფუძველზე წარმოადგინა ერთწლიანი გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. გეგმაში არის მოცემული შესასრულებელი ამოცანები, პასუხისმგებელი პირები და ვადები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი დაზუსტებული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც შესაძლებელია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;
3. ინტერვიუ მასწავლებლებთან;
4. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან;
5. კათედრის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სამეურვეო საბჭოს ოქმი N5, 07.09.23
7. სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-47, 07/09/2023

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლა ამჟამად მუშაობს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შექმნაზე. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანება ,, სასწავლო პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“.

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლას ამჟამად არ აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, თუმცა უახლოეს პერიოდში ექნება. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა პროექტები და ბრძანება სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ.(ბრძანება N2-45, 25.08.23). ბრძანების მიხედვით განისაზღვრა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით სრტატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა დასრულდება 2023-24 საწავლო წლის დაწყებამდე. ნაგებერაოს საჯარო სკოლა ამჟამად მუშაობს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შექმნაზე. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების მიხედვითაც სკოლა განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმი;

რადგან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. ნაგებერაოს საჯარო სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა ვებ-გვერდზე, რომელზეც უკვე ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ვებ-გვერდზე განთავსდება ყველა სიახლე, რომელიც იქნება სკოლის ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებიც;.

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. მათი განხორციელების შედეგები განთავსდება მას შემდეგ, რაც სკოლა შეაფასებს გეგმების განხორციელების პროცესსა და შედეგებს.

რადგან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლას არ აქვს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, არ აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; თუმცა სკოლა აკეთებს თავის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას, შემდეგ ანალიზს, რის საფუძველზეც გეგმავს მომდევნო საქმიანობებს, რაც დასტურდება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, დირექტორის ანგარიშით;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

რადგან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმის პროექტი;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;
3. კათედრებისა და პედსაბჭოს ოქმები;
4. დირექტორის ანგარიში;
5. სკოლის ფეისბუქის გვერდი;
6. ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
7. ინტერვიუები მასწავლებლებთან;
8. დირექტორის ბრძანება სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
9. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანება 2-N46 ,08.09.23
10. სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-47, 07/09/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაგებერაოს საჯარო სკოლის წესდებით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სკოლაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში, ხოლო საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია საქმისწარმოების წესში. სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომელთა ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ისეა გადანაწილებული, რომ ეს ხელს უწყობს სკოლის სწორ ფუნქციონირებას. ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა და პირმა იცის თავისი ფუნქცია-მოვალეობები და მოქმედებს შესაბამისად, რაც იკვეთება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, რომლებიც ასახავს ამ რგოლების მუშაობას. ეს დოკუმენტებია სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოკვეთა , რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რაც აისახება სკოლის საქმიანობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
4. კათედრების ოქმები;
5. პედსაბჭოს ოქმები;
6. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. საქმისწარმოების წესი;
9. სკოლის წესდება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას პერსონალის მართვის პროცესები წარმოდგენილი აქვს სკოლის წესდებაში, შინაგანაწესში, სხვა დებულებებსა და ხელშეკრულებებში, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის ყოველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია სკოლის პერსონალთა ხელშეკრულებებსა და საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.
სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მტუკი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი და 24 მასწავლებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლა განსაზღვრავს საჭიროებებს და შესაბამისად მოქმედებს მოსწავლეთათვის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. დირექტორთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვს სკოლის თანამშრომელთა სწორად შერჩევის აუცილებლობა, რაც განაპირობებს იმას, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარების ჯგუფი ასევე იღებს პასუხისმგებლობას სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე. სკოლა მოიზიდავს საუკეთესო კადრებს და უქმნის მათ პირობებს, რათა აამაღლოს მოსწავლეთა სწავლის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.ნაგებერაოს საჯარო სკოლას პერსონალის სწორად შერჩევისა, შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმებისთვის აქვს განსაზღვრული წესები, რომლებიც მოცემულია როგორც სკოლის შინაგანაწესში, ასევე სხვა დოკუმენტებში. ასეთი დოკუმენტია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების წესი, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ის პროცედურები, რომლებსაც სკოლა ახორციელებს ახალი მასწავლებლების მისაღებად. დოკუმენტი შეიცავს შემდეგ თავებს: 1. ზოგადი დებულებები; 2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყება, რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისაგან: მუხლი2.- მასწავლებლის საქმიანობის დაწყება; მუხლი 3-კანდიდატისადმი დადგენილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები; მუხლი 4 -კონკურსის გამოცხადება; მუხლი 5-კომისიის შექმნის წესი; მუხლი 6-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომისიის წევრის აცილება; მუხლი 7-კომისიის საქმიანიობა; მუხლი 8-კონკურსის ეტაპები; მუხლი 9-კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები; მუხლი 10- საპრეტენზიო კომისია; მუხლი11-შრომითი ხელშეკრულების დადება;

სკოლაში მოქმედებს ასევე სკოლის თანამშრომელთა მიღების წესი-,,პერსონალის შერჩევა, ადაპტაცია და თანამშრომლობა" , რომელიც ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც სურთ მუშაობის დაწყება ნაგებერაოს საჯარო სკოლაში(ნებისმიერ პოზიციაზე). სკოლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თანამშრომელთა მოზიდვისა და დაქირავების პროცესი 5 ძირითად ეტაპს მოიცავს: მოსამზადებელი, მოზიდვა, გადარჩევა, დაქირავება , ორიენტაცია. დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მუხლებს:1. კონკურსის მიზანი; 2. კონკურსის პრინციპები; 3. კონკურსის ეტაპები; 4.საკონკურსო კომისია; 5. მიღების წესი.

ეს დოკუმენტები უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალის სწორად შერჩევას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

საჭიროების შემთხვევაში სკოლა აცხადებს ვაკანსიას teachersjobs.ge -ზე, უთითებს კონკრეტულ პოზოციას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და შრომითი პირობების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პროცედურების დაცვით, რომლებიც აღწერილია სკოლის დოკუმენტებში, რის შედეგადაც ხდება საჭირო პერსონალის შერჩევა. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში არის ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ნაგებერაოს საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საქმიანობას. რასაც მოწმობს მათი პირადი საქმეები და მათში მოთავსებული დოკუმენტები. სკოლაში მუშაობს 22 მასწავლებელი, აქედან 18 უფროსი, 3 წამყვანი, ერთი უსტატუსო. მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. ნაგებერაოს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა: სახელმწიფო ენის, მათემატიკის , ისტისა და ჭადრაკის, უცხო ენების, ბუნებისმეტყველების, დაწყებითი კლასების, სპორტის, ესთეტიკისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების. კათედრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმებზე და სხვა სწავლა-სწავლების საკითხებზე. სკოლამ წარმოადგინა კათედრების სამოქმედო გეგმები, რომლებიც არის ერთობლივად შემუშავებული მათ მიერ.

სკოლის მასწავლბლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება, ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება და ანაგარიშვალდებულება საერთო მიზნათან, ამასთანავე, შეუძლიათ თანამშრომლობა და ურთიერთგანპირობებული, ურთიერთდამოკიდებული მოქმედებები, რაც ქმნის პოზიტიურ ატმოსფეროს სკოლაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. ნაგებერაოს სკოლას აქვს აღიარების პოლიტიკა. წარმატების ფაქტები გაზიარებულია სკოლის სოც. ქსელში. ასევე, განიხილება კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომებზე.

შინაგანაწესის მიხედვით გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება;

ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში არის გარემო, სადაც ხდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. პერსონალის შერჩევა-ადაპტაცია და თანამშრომლობის დოკუმენტი;
3. ფეისბუქის გვერდები (https://www.facebook.com/nageberaossajaroskola/);
4. პერსონალის მიღების დოკუმენტაცია (ოქმები, ბრძანებები)
5. მასწავლებელთა პირადი საქმეები.
6. მასწავლებლებთან ინტერვიუები;
7. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების წესი ; (დირექტორის ბრძანება2-42, 24.08.2023 წელი).
8. კათედრის საქმიანობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას ჰყავს ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი.სკოლას აქვს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი - ,,სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელშიც აღწერილია, როგორ ახდენს სკოლა მასწავლებელთა მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე, ის კრიტერიუმები, რომლებითაც აფასებს სასწავლო პროცესს, ასევე, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, თუ როგორ მოახერხებს სკოლა მასწავლებელთა დახმარებას , მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

დოკუმენტში ვკითხულობთ: ,, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა(მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითრებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული ,,სასწავლო პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ეს საკითხი განხილულია სკოლის დოკუმენტში: ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელშიც ვკითხულობთ:
,,სკოლა ზრუნავს საკუთარი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და კარიერულ ზრდაზე“. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და კონფიდენციალური გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის საქმიანობაში შესატანი ცვლილებების შესახებ;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.ნაგებერაოს საჯარო სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის დოკუმენტში ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ აღწერილია , თუ როგორ ახორციელებს სკოლა ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტში წერია: თუ მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას, ადგილობრივი ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რაც გამოიხატება სკოლის მასწავლებლების კეთილგანწყობასა და თანამშრომლობის სურვილში. სკოლას აქვს განსაზღვრული კომპიუტერით სარგებლობის სივრცეები მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და საგაკვეთილო პროცესის საჭიროებისთვის, რაც ეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთესად წარმართვაში. სკოლის მიერ მიღებულ დოკუმენტში აღწერილია ეს პროცესი შემდეგი სახით:
,,კომპიუტერული ტექნოლოგიების, ისტ-ის (ასევე სხვა საგნის) მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა, რომ შეძლონ, ერთი მხრივ, გაკვეთილის მსვლელობისას საკლასო ოთახში შეიტანონ, მეორე მხრივ, კი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ბუნებრივია შეზღუდვების, მაგალითად COVID შეზღუდვების გათვალისწინებით) კომპიუტერული ლაბორატორია საგაკვეთილო პროცესში.

იმისათვის, რომ ზევით ჩამოთვლილი აქტივობები სკოლაში ეფექტურად განხორციელდეს, საჭიროა შეირჩეს სკოლის თანამშრომელი (მაგ.: ეს შეიძლება იყოს ინფო მენეჯერი, ისტ-ის მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი ან სხვა), რომელიც შეადგენს მასწავლებლების მიერ საკლასო ოთახებში კომპიუტერების გამოყენებისა და სამუშაო სივრცეებში კომპიუტერების გამოყენების განრიგს".

ეს დოკუმენტი ადგენს სამუშაო სივრცეებს მასწავლებლებისთვის არასაგაკვეთილო და საგაკვეთილო პროცესის დროს.

მასწავლებლებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში და გარკვეული დროით კომპიუტერულ ლაბორატორიაში. მასწავლებლებს საჭიროების მიხედვით შეეძლებათ საგაკვეთილო პროცესში შეიტანონ ლეპტოპი, როგორც სამასწავლებლოდან, ასევე ისტის ოთახიდან. სამუშაო სივრცის განრიგი ხელმისაწვდომი იქნება სამუშაო დღეებში დილის 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. არასამუშაო დღეებში დირექციასთან შეთანხმებით. დირექტორის მოადგილე შეადგენს კომპიუტერების საკლასო ოთახებში გამოყენების განრიგის და იგი იქნება განრიგის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი;

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. ნაგებერაოს საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის ადმინისტრაცია და ხარისხის განვითარების გუნდი მხარში უდგას ყოველ მასწავლებელს პროფესიული განვითარების გზაზე. სკოლის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა სახის პროექტებსა თუ ღონისძიებებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
3. სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა (პროექტი);
4. მასწავლებლებთან ინტერვიუები;
5. ადმინისტრაციასთან ინტერვიუები;
6. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგებერაოს საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები. ამ დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ციკლურად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; ამ საკითხებზე ასევე არის ჩანაწერები სკოლის შინაგანაწესში. სკოლას მალე ექნება ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსდება აღნიშნული დოკუმენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.ნაგებერაოს საჯარო სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის საკითხები აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მასში აღწერილია გასაჩივრების დეტალური პროცედურები. თუმცა კონკრეტული შემთხვევები სკოლაში არ დასტურდება. ამიტომ არ არსებობს კონკრეტული გასაჩივრების მასალები; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლას აქვს შექმნილი სპეციალური დოკუმენტი ამ მიმართულებით: ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვა“, რომელიც შედგება ორი თავისაგან. პირვე თავში აღწერილია მოსწავლისა და მისი მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ხოლო მეორე თავში - სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. სკოლა ხელმძღვანელობს აღნიშნული დოკუმენტით. კონკრეტული საჩივრის ფაქტი არ ყოფილა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
3. მოსწავლეების, პერსონალის, მშობლის კანონიერი დაცვის მექანიზმები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლა მართვის საკითხებთან დაკავშირებით ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სხვადასხვა საშუალებით: სკოლის ფოიეში არსებობს სტენდი, რომელზეც გამოკრულია მასალები ამ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, სკოლას აქვს ფეისბუქის გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია შესაბამისი მასალები, ასევე, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება დამრიგებლების და მასწავლებლების შეხვედრებზე მშობლებთან. ამისათვის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლების მიღების საათები, ამას გარდა , დამრიგებლები იწვევენ მშობლებს შესახვედრად. ასეთ შეხვედრებზე იმართება დისკუსიები მართვის პროცესებთან დაკავშირებით; სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის და მათგან უკუკავშირის მიღების რამდენიმე საშუალება: 1. შინაგანაწესის თანახმად , ყოველ პარასკევს 13.00 საათიდან 17 საათამდე არის მშობლის სკოლაში მიღების საათები; 2. მშობელთან შეიძლება კონტაქტი ტელეფონის და სოც. ქსელების საშუალებით, 3. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, 4. მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალური შეხვედრებით.
მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ისმენენ მშობელთა სურვილებს და ითვალისწინებენ მათ ვითარების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლას არ აქვს ცალკე დოკუმენტი პერსონალის მართვის შესახებ, თუმცა შინაგანაწესსა და სხვა დამხმარე მდოკუმენტებში მოცემულია სკოლის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.
ინტერვიუში სკოლის დირექტორთან გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. ამისათვის კი საჭიროა მათი ინიციატივების წახალისება. სკოლა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს სკოლის თვითნმმართველობის გააქტიურებას და გეგმავს მათთან ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლის ფოიეში არსებული სტენდი;
3. სკოლის ფეისბუქი;
4. დამრიგებლების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას გაგზავნილი აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წერილი იმის თაობაზე, რომ შეისწავლონ სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და განსაზღვრონ მისი უსაფრთხოება, მაგრამ არ აქვს მიღებული პასუხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობა არის 2019 წელს აშენებული თანამედროვე სტანდარტებით. სკოლაში შესაბამის ადგილებში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდებით, ცეცხლმაქრებით და საჭირო აღჭურვილობით. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებასა და დასკვნის მომზადების თაობაზე. წერილის საფუძველზე სკოლას გაეგზავნა2023 წლის 25 მაისის შესაბამისობის დასკვნა N95. დასკვნის მიხედვით სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. აღნიშნულ აქტში სკოლას მიეცა რეკომენდაციები პრობლემების მოსაგვარებლად. შემოწმების დროისათვის ეს პრობლემები არ იყო აღმოფხვრილი, თუმცა აპირებს უახლოეს ხანებში ხარჯთაღრიცხვისა და სხვა შემდეგი პროცედურების დაწყებას პრობლემის მოსაგვარებლად.
სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საგანგებო სიტუაციების შტაბი, რომლის შემადგენლობაშიც არის 8 წევრი:
1. საგანგებო შტაბის უფროსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში;
3.მატერიალურ-ტექნიკურ დარგში უფლებამოსილი პირი;
4.საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით;
5. სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი-სკოლის ექიმი;
6. სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი;
7.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი;
8. პრევენციისა და მზადყოფნის დარგში უფლებამოსილი პირი.

სკოლა მუშაობს სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგებერაოს საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტზე, რომელიც შემუშავებულია სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგებერაოს საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების შტაბის წევრების მიერ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

სკოლას არ აქვს შექმნილი საგანგებო სიტუაციების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან, სკოლას აქვს მხოლოდ პროექტი.

სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან.

სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლის სასწავლო და სპორტდარბაზის შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი ფუნქციონირება საფრთხის შემცველი არ არის და უსაფრთხოა ექსპლოატაციისათვის.

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი, რასაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დირექტორის მოადგილე , რომელიც განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით(N2-07, 27.02.2019).

სკოლა აღჭურვილია 16 კამერიანი სათვალთვალო სისტემით, რომელიც ინახავს ჩანაწერს 1 თვით. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ატარებს პრევენციული აქტივობებს: სპორტულ შჯიბრებებს, სასკოლო პროექტებს , კლუბურ მუშაობას და ა.შ..

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.ნაგებერაოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს, ამისათვის სკოლას აქვს შემდეგი მექანიზმები: სკოლა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოსწავლეებში. ამისათვის ის მართავს სხვადასხვა პროექტსა და აქტივობას, როგორებიცაა სპორტული თამაშები და შეჯიბრებები, დისკუსიები და საუბრები. ამასთან ერთად, სადამრიგებლო საათების ფარგლებში მიმდინარეობს ამ საკითხებზე საუბარი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური დასუფთავების წესი, რომელიც გამოკრულია სკოლაში. მის შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან სკოლის მორიგე-მასწავლებლები, სკოლის ექიმი და დამლაგებლები. სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს შესაბამისად აღჭურვილი კაბინეტი. ექიმს აქვს ყველა შაშუალება და კომპეტენცია იმისათვის , რომ საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს მოსწავლეს პირველადი დახნარება. ექიმის ხელშეკრულებაში აღწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.ნაგებერაოს საჯარო სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6.ნაგებერაოს საჯარო სკოლას ჰყავს ბრძანებით (დირექტორის ბრძანება N1/სკ-19) დანიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი, რომლადაც განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. იგი უზრუნველყოფს ამ საკითხის სწორად წარმოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7.სკოლას ამ დროისათვის არ გააჩნია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დოკუმენტი. სკოლა აპირებს ასეთი დოკუმენტის შექმნას, რათა ამით გაუმჯობესოს აღნიშნული მექანიზმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის წერილი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ (N546127 16/05/2023);
2. დასკვნა სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ : სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N95; 25.05.2023
3. სკოლის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი და წესი;
4. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური დასუფთავების წესი;
5. უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ბრძანება;
6. ინფორმაციის გაგებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
7. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნის შესახებ (ბრძ. N1/კ-05, 02.08.2023)
8. სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-50, 09,10,23 და შეთანხმებულია შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 12.10.23, წერილი MIA 9 23 02994203
9. ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N007333523.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით(განცხადება N 882023888626 24.08.2023) სკოლას აქვს სამი შენობა,რომლებიც განთავსებულია 4305 კვ.მ ფართობზე.

სკოლის ძირითადი (1) შენობა ორსართულიანია. შენობაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, ექიმის ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, ისტ-ის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი ლაბორატორიის ოთახით, სადაც დგას კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მასწავლებლებმა გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში ვირტუალური ლაბორატორია, მაგრამ სკოლას არ აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, ასევე, არ არის დამონტაჟებული წყლის ონკანი.

საქმის წარმოების კაბინეტი-კანცელარია, 4 სველი წერტილი მოსწავლეებისათვის, თითოეულ სართულზე 2 ორი განყოფილებით, ხოლო თითოეულ სართულზე 2 ერთგანყოფილებიანი საპირფარეშო სკოლის თანამშრომლებისათვის.

მეორე შენობაში მოთავსებულია სპორტული დარბაზი, ორი სველი წერტილი, მოსწავლეთა გასახდელი და ინვენტარის შესანახი ოთახები. სკოლას აქვს შემოსასვლელში პანდუსი შშმ პირებისთვის, ადაპტირებული სველი წერტილები ყოველ სართულზე და სპორტულ დარბაზში. სკოლაში არ არის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი ან ლიფტი. ამჟამად სკოლას არ ჰყავს არც სსსმ და არც შშმ მოსწავლე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ყველაფერი აქვს სკოლას მისი მომსახურებისთვის, გარდა მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსისა(საშუალებისა).

მესამე შენობა არის დამხმარე ნაგებობა, რომელიც გამოიყენება წყლით მომარაგების მიზნით.

სკოლას აქვს 151 მერხი და 161 სკამი.

სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი.

სკოლა შემოსაზღვრულია ღობით, სკოლას აქვს ეზოში გაკეთებული პატარა სკვერი ვარდებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს საბუნებისმეტყველო კაბინეტის აღჭურვას და მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის გაკეთებას. პანდუსზე სამუშაოები დაიწყო 28.08.23 და დამთავრდება 30.07.24; ხოლო ლაბორატორიის სამუშაოები დაიწყო 30.08.23 და დამთავრდება 28.07.24. სკოლის გარდა აღნიშნული სამუშაოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულების პროცესში ჩართულები არიან მარტვილის რესურსცენტრი და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.
ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლის ყველა საკლასო ოთახში არის მერხები და სკამები მოსწავლეთათვის, დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა.
სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა ადგილას შესაბამისი დანიშნულებით. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელშიც არის როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, სულ 608 ეგზემპლარი, ასევე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, სულ 308 ეგზემპლარი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წესის მიხედვით: ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს თანაბრად აქვს უფლება ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსითა და საინფორმაციო საშუალებებით; ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია 08.30 სთ-დან 17.30 სთ-მდე.
სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტი ლაბორატორიით, კაბინეტში არის კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება. სკოლას მიწერილი აქვს წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ლაბორატორიის სკოლისთვის შეძენასთან დაკავშირებით.
სკოლას აქვს დიდი ფოიეები, რომელთაც იყენებს სხვადასხვა პროექტისა და ღონისძიების ჩატარების მიზნით.
სკოლას არ აქვს კვების ობიექტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას აქვს რესურსოთახი, ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეს შესაბამისი ოთახითა და რესურსებით. სკოლას აქვს შენობაში შემოსასვლელში პანდუსი, აქვს ადაპტირებული საპირფარეშოები ორივე სართულზე, თუმცა სკოლაში არ არის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი ან ლიფტი. მეორე სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომლით სარგებლობასაც ვერ შეძლებს შშმ პირი მოსწავლე, თუკი ასეთი ეყოლა სკოლას. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში სტანდარტთან. **ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლას აქვს შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტული ღონისძიებები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით, ასევე, აქვს ეზოში ღია სპორტული მოედანი, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: პოსტერები, რუკები, ცხრილები, თვალსაჩინოებები, 4 პროექტორი, სპორტული ინვენტარი, კომპიუტერული ლაბორატორია და WIFI ინტერნეტი, ასევე სახარჯი საკანცელარიო მასალები. ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მასწავლებლების მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის მეთოდურ-საგნმანათლებლო რესურსები კითხვის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და სხვა საგნების ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2. შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. მიღება-ჩაბარების აქტები;

4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

5. ბიბლიოთეკის კატალოგი;

6. სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

7. გასაუბრება ბუღალტერთან;

8. სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს 40 კომპიუტერი, 4 პროექტორი, 1 პრინტერი, რომლებიც განაწილებულია მთელ სკოლაში მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. კომპიუტერები განთავსებულია შესაბამისად, ადმინისტრაციაში, ბუღალტერიასა და კანცელარიაში, ექიმის კაბინეტში, ინფორმატიკის კაბინეტში, საბუნებისმეტყველო კაბინეტში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს მიღებული შემდეგი დოკუმენტი: სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგებერაოს საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის წესი, რომლის მთავარი მიზანია გამოყოს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისთვის სამუშაო სივრცეები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას ჰყავს კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი 3 პირი:

1. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პასუხისმგებელი პირი არის ისტ-ის მასწავლებელი;
2. სამასწავლებლოში პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე;
3. ბიბლიოთეკაში პასუხისმგებელი პირია ბიბლიოთეკარი;

სკოლაში არის ცენტრალიზებული Wi-Fi. არის სრულად დაფარული.

მიეწოდება - 50მბ/წ სიჩქარით.

მასწავლებლებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში და გარკვეული დროით კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლაში კომპიუტერები განთავსებულია შემდეგ სასწავლო გარემოში::

სამასწავლებლოში 1 ლეპტოპი (CPU-AMD Ryzen 3. RAM 4GB), დირექტორის მოადგილის ოთახში 1 მაგიდის კომპიუტერი (CPU-intel pentium G4560. RAM 4GB,) ბიბლიოთეკაში 1 მაგიდის კომპიუტერი (CPU-intel pentium G4560. RAM 4GB) და ისტის ოთახში 2 მაგიდის კომპიუტერი (CPU-intel pentium G4560. RAM 4GB) და 8 ლეპტოპი (CPU-AMD Ryzen 3. RAM 4GB).

სკოლას 2023 წლის აპრილში მიღებული აქვს 19 ცალი პორტაბელური კომპიუტერი, რომლებიც არ არის განთავსებული საკლასო ან სხვა ოთახებში.

მასწავლებლებს საჭიროების მიხედვით შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში შეიტანონ ლეპტოპი, როგორც სამასწავლებლოდან, ასევე ისტის ოთახიდან.

სამუშაო სივრცე ხელმისაწვდომია სამუშაო დღეებში დილის 09:00 საათიდან 17:00 საათამდე.

არასამუშაო დღეებში დირექციასთან შეთანხმებით.

მოსწავლეებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია ბიბლოთეკაში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მიღება-ჩაბარების აქტები;
2. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგებერაოს საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის წესი;
3. ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლაში მოქმედებს დირექტორის მიერ N 2-04 13/04/2018 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ,,წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს“. ეს წესი განმარტავს ყველაფერს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს საქმის წარმოება სკოლაში. რეალურად სკოლაში მიმდინარეობს საქმის წარმოება ამ წესის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი. მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვ . ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა მისამართით: nageberao@mes.gov.ge , რომლითაც სკოლა ასევე ახორციელებს წერილების მიღებასა და გაგზავნას. სკოლა იყენებს email.mes.go.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool.emis.ge შევსებულია ყველა სავალდებულო ველი, ასახულია ინფორმაცია სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს,
სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით. სკოლა დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი;
2. eflow და eschool -ის ციფრული პლატფორმები;
3.სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშები საქ. საკანონმდებლო მაცნეს, პრეზიდენტს, პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს;
4. გასაუბრება საქმისმწარმოებელთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას ვიზიტის დროს ექსპერტებს დაათვალიერებინა ვებ-გვერდი, რომლითაც განახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას, ვიზიტის დროს სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების პროცედურა , მასზე იყო ასახული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლამ განაცხადა, რომ შეძლებს უახლოეს პერიოდში ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის სრულად ასახვას. სკოლა ამ საშუალებით განახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლის საქმიანობის შესახებ; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამას მოწმობს სკოლის ფეისბუქგვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის მისია, ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და სხვა ღონისძიებები; ფეისბუქის გვერდზე ასახულია სპორტული, საგაკვეთილო თუ საზეიმო ღონისძიებები მოსწავლეთა, მასწავლებელთა და დირექციის ჩართულობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.მხოლოდ შინაგანაწესში აქვს მოცემული მშობლებთან ურთიერთობის სახეები. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის რამდენიმე საშუალება, ფეისბუქის მესენჯერ-ჯგუფებით, ტელეფონით, სკოლაში შეხვედრებითა და მშობლის მიღების დღით. სკოლის შინაგანაწესში წერია, რომ ყოველ პარასკევს 13.00-დან 17.00 საათამდე ყველა მშობელს შეუძლია მივიდეს სკოლაში და გაესაუბროს მასწავლებლებს. ამ გზებით აქვთ კომუნიკაცია სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან და კომუნიკაციის შემდეგ ითვალისწინებენ მათ სურვილებსა თუ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლას არ აქვს მოწოდებული მასალებში ვებ-გვერდის მისამართი, თუმცა ვიზიტის დროს წარმოადგინა ახლად შექმნილი ვებ-გვერდი, რომელზეც იყო განთავსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლა ამჟამად ქმნის ვებ-გვერდს და აპირებს განათავსოს მასზე ყველა საჭირო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ექსპერტების ვიზიტის ნაგებერაოს სკოლის ვებ-გვერდი შექმნის პროცესში იყო. მასზე იყო ასახული მხოლოდ მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის დირექციის განცხადებით, სკოლა უახლოეს პერიოდში შეძლებდა ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას.
სკოლის ვებ-გვერდი შექმნილია და მასზე არის განთავსებული სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი გეგმა, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი, მოსწავლეთა , მშობელთა და პერსონლის უფლებების დაცვის დოკუმენტი, შინაგანაწესი. მოკლე ინფორმაცია სკოლის ინფრასტრუქტურის შესახებ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლის ფეისბუქის გვერდი;
3. დამრიგებლების ოქმები;
4. სკოლის დირექტორთან გასაუბრება;
5. ისტ-ის პედაგოგთან გასაუბრება.
6. სკოლის ვებ-გვერდი

https://skolebi.emis.ge/schools/1620?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ნაგებერაოს საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი. სკოლა თავისი ფინანსებით ახორციელებს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მართალია , სკოლა მცირეკონტიგენტიანია და შესაბამისად აქვს მცირე ბიუჯეტი, იგი ახერხებს სკოლისათვის აუცილებელი ხარჯების მობილიზებას და სკოლისათვის აუცილებელი ხარჯების გაწევას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით ბუღალტერი და დირექტორი გეგმავენ ბიუჯეტს, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. მისი შესრულების შესახებ დირექტორი აკეთებს ანგარიშს წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსა და სასკოლო საზოგადოების წინაშე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ხარჯი და სკოლის ბიუჯეტი დაბალანსებულია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
2. დირექტორის 2022 წლის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული შემდეგი დოკუმენტი: ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას სკოლაში. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,სკოლა არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუმდამენტური უფლება- განათლების უფლება. მხოლოდ სკოლის მოსწავლის სტატუსის მოპოვება არ არის საკმარისი ამ უფლების დასაცავად. სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე.“ შემდეგ დოკუმენტი განმარტავს, რა უფლებები აქვს მოსწავლეს და მის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს სკოლაში.
დოკუმენტის მიხედვით მოსწავლე უნდა იცნობდეს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, დამრიგებლებმა უნდა გააცნონ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ასევე, სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა და სხვ. მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხები ასევე ასახულია სკოლის შინაგანაწესში. ასევე, შინაგანაწესშია მოცემული გასაჩივრების წესი მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში. (თავი13. მუხლი 30.). გასჩივრების კონკრეტული ფაქტები სკოლაში არ გამოვლენილა.
სკოლის ვებ-გვერდი შექმნის პროცესშია. მასში არ არის ასახული ეს დოკუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს სკოლის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები მოცემულია შინაგანაწესში, რომლის გაცნობა არის სავალდებულო ყველა მოსწავლისა და მშობლისათვის სკოლის შემდეგი დოკუმენტის მიხედვით: ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლის დოკუმენტი: ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა";
3. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის წესი მოცემულია ნაგებერაოს საჯარო სკოლის შინაგანაწესში, საფეხურის დაძლევის სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხოლო სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხების გადაწყვეტისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანება #04/ნ-ით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, რაც ასახულია ემისის ბაზაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.ნაგებერაოს საჯარო სკოლის ფოიეში არის საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა განათავსებს სიახლეებს და საჭირო ინფორმაციებს. სკოლის ფეისბუქის გვერდზე განთავსებულია მოსწავლეთა მონაწილეობის ამსახველი სურათები სხვადასხვა საგაკვეთილო თუ არასაგაკვეთილო პროექტსა და ღონისძიებაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.ნაგებერაოს საჯარო სკოლის მიერ ინფორმაცია ვრცელდება სკოლის ფოიეში არსებულ სტენდზე გამოკრული ინფორმაციითა და სკოლის ფეისბუქის გვერდზე განთავსებული ინფორმაციით. ეს საშუალებები ასახავენ სკოლის მიერ ჩატარებულ სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებს. ამას გარდა, მასწავლებლები მშობლებს ატყობინებენ სიახლეებს შეხვედრებზე, სოციალურ სივრცეში(სკოლის ფეისბუქგვერდის მესენჯერით) და სკოლის ელექტრონული ჟურნალით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სკოლის ფეისბუქი;
4. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამაში აღწერილია დამრიგებლის მოვალეობები და საქმიანობები, რომლებიც მთლიანობაში ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან; სადამრიგებლო პროგრამა არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. ,,დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ხელს უწყობდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.ნაგებერაოს საჯარო სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით აწყობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მათ შორის, საინტერესოა, ბაღის მოსწავლეების წინასწარ მოყვანა სკოლაში, სკოლის შენობის დათვალიერება და გასაუბრება მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორთან, ასევე, პირველი კლასის მასწავლებლის მიერ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ამსახველი სურათები; მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობისას სკოლას აქვს მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯი, საკლასო გარემო და სივრცე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. დამრიგებლის მოვალეობებში აღნიშნულია, რომ იგი ვალდებულია მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინდივიდუალურად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი უწევენ კონსულტაციასა და მხარდაჭერას მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. ნაგებერაოს საჯარო სკოლა სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, პატივს სცემს მის არჩევანს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების გამოყენებას. სკოლის მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
5.ნაგებერაოს საჯარო სკოლაში მოქმედებს რამდენიმე კლუბი, მათ შორის კინოკლუბი, რომლის წევრებიც იკრიბებიან სკოლის ბიბლიოთეკაში კვირაში ერთხელ, ნახულობენ მხატვრულ ფილმს და ნანახი ფილმის შესახებ ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს. მათი საქმიანობა გააშუქა ეტალონმა. სკოლაში ასევე მოქმედებს ლიტერატურული კლუბი, რომელსაც აქვთ წესდება და მთელი წლის სამუშაო გეგმა. ასევე, სკოლაში მოქმედებს სპორტული პროექტი: ,,ჩაერთე რაგბიში“, რომლის შეჯამება ხდება ყოველწლიურად საჯაროდ საზეიმო ღონისძიებაზე, რაც ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

6.ნაგებერაოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დამრიგებლების საშუალებით სკოლას აქვს ინფორმაცია მშობელთა სურვილების შესახებ, რასაც ითვალისწინებს სკოლა მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო პროგრამა;
2. ფეისბუქის გვერდი https://www.facebook.com/nageberaossajaroskola/;
3. ეტალონის გვერდის ლინკი: https://www.etaloni.ge/geo/main/index/81670
4. მასწავლებლებთან გასაუბრება;
5. საქმისმწარმოებელთან გასაუბრება;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა(პროექტი).

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ნაგებერაოს სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათგან იღებენ ინფორმაციებს პროფესიების შესახებ. ეს მათ ხელს უწყობს თავიანთი მომავლის სწორად დაგეგმვაში.სკოლამ წარმოადგინა სურათები რამდენიმე შეხვედრიდან.
ამას გარდა, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დამრიგებლებს საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX-XI კლასებში ევალებათ ჩაატარონ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. ნაგებერაოს საჯარო სკოლის მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით გაიმართა სკოლის მოსწავლეების შეხვედრა კადეტთა კორპუსის წარმომადგენლებთან. ასეთი შეხვედრები პერიოდულად იმართება სკოლაში, სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული შეხვედრის ფოტოები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. ნაგებერაოს საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების კვლევისა და გაუმჯობესების მექანიზმი შემუშავებული და დანერგილი, თუმცა სადამრიგებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ IX-XI კლასის დამრიგებლებს ევალებათ ჩაატარონ საუბრები მოსწავლეებთან კარიერული დაგეგმვის საკითხებზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათები;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 სასწ. წ. (პროექტი);

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ნაგებერაოს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სკოლის შენობაში გათვალისწინებულია რესურსოთახი, სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩადებული აქვთ ზოგადი მითითებები სსსმ მოსწავლესთან მუშაობის თვალსაზრისით. სკოლას 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესები. დღეისათვის სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ამიტომ კონკრეტულად არ აქვს მომზადებული ინდ. გეგმები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში არის მზაობა ამ პროცესის სწორად წასამართად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის თანამშრომლებში არის მზაობა იმისათვის, რომ თუ ეყოლებათ სსსმ მოსწავლე, ყველანაირად შეუწყობენ ხელს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. ამისთვის მათ აქვთ თეორიული ცოდნა და პროფესიული უნარები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 სასწ. წლისთვის(პროექტი);
2. ინტერვიუ დირექციასთან;
3. ინტერვიუ მასწავლებლებთან.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო სახის მომსახურების სახით ტრანსპორტირების სერვისს; ტრანსპორტირება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას ემსახურება ორი მიკროავტობუსი ოთხ მიმართულებაზე. სკოლა მოსწავლეთა ტრანსპორტირების სერვისს მონიტორინგს უწევს ყოველდღიურად და შესაბამის ინფორმაციას ასახავს ტაბელის ფორმით, რომელიც ეგზავნება რესურსცენტრს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3.ტრანსპორტით მომსახურება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით; მოსწავლეთა ტრანსოპირტირებისას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სკოლა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იცავს უსაფრთხოების ზომებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. მანქანის მძღოლის ტაბელები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, კათედრებზე კოლეგები სისტემატურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ისინი ერთობლივად ქმნიან კურიკულუმს, გეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კომუნიკაცია ხორციელდება სოციალური ქსელებით, დახურული ფეისბუქ-ჯგუფებით, ასევე თიმსის პლატფორმის საშუალებით. უგზავნიან კითხვარებს და იღებენ მათგან უკუკავშირს, კურიკულუმის შემუშავებისას ასევე ითვალისწინებენ დირექციის რჩევა-რეკომენდაციებს. მომავალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო წელს კვლავ გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას სხვადასხვა საშუალებით, რათა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ და გაითვალისწინონ მათი საჭიროება და ინტერესი. ამ ინფორმაციის გაანალიზებით შეიმუშავებენ საჭირო სტრატეგიას სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეთა შესაძლებლობები, მშობელთა სურვილები და იდეები. შესაბამისად, იგეგმება სასკოლო აქტივობები. რაც უშუალოდ ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ზეპირი გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისგან და ასე გეგმავენ პრიორიტეტებს,რომლებიც შემდეგ აისახება სასკოლო კურიკულუმში. კომპლექსურ დავალებებში განსაზღვრულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოვლენილია მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა, რის გამოც მისი შემდგომი დახვეწის საჭიროებას ხედავს სკოლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კურიკულუმი რომ შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, კოლეგებთან შეხვედრის ოქმებში, ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს და ითვალისწინებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლა ჩართულია ,,ახალი სკოლის მოდელში“. მათ აქვთ მშობლებისათვის კომპლექსური დავალებების გაცნობის პრაქტიკა. ისინი პირისპირ რეჟიმში ხვდებიან მშობლებს სკოლაში და აცნობენ კომპლექსურ დავალებებს, როგორც მოკლევადიან მიზნებს. დამრიგებლებს ყოველდღიური მჭიდრო კონტაქტი აქვთ მშობლებთან. მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებზე დამრიგებლების დახმარებით მშობლები სისტემატურად იღებენ საჭირო ინფორმაციას. დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობენ სოციალური ქსელითაც დახურულ ჯგუფებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ ცდილობენ გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების პოტენციალი და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. ცდილობენ დანერგონ ისეთი დავალებები, რომელთა შესრულებისათვის საჭირო რესურსებზეც მშობლებს ხელი მიუწვდებათ. სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. ვინაიდან კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია, მუდმივად ვითარდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მის შემუშავებაში სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული მონაწილეობს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედსაბჭოს ინტერესები, მშობელთა შეხედულებები, რაც კვლევების საშუალებით დგინდება. ამასთანავე, სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კათედრებთან და აწვდის საჭირო რჩევებს შემდგომი განვითარებისთვის. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა სკოლაში ჯერ კიდევ იხვეწება, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის აქტიურ მუშაობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: მშობელთათვის განკუთვნილი ბარათები, სოციალურ სივრცეში გაზიარებული აქტივობები, მშობლებთან ყოველკვირეული შეხვედრები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს, როგორ ურთიერთობენ მშობლებთან სოციალური ქსელით დახურულ ჯგუფებში, უგზავნიან დავალებებს, საპროექტო იდეებს, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ. კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული მათგნისთვის, აღნიშნეს, რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე, ჩანდა კადრშიც გასაუბრების დროს. კურიკულუმის საბოლოო ვერსიებს გააცნობენ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი. მშობლები სისტემატურად ღებულობენ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისგან ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, ბავშვთა უფლებების, დასწრების და სკოლის მიერ დაგეგმილი სასკოლო და სასწავლო აქტივობების შესახებ. სკოლის შესასვლელში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების სიახლეები, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლებს მშობლებთან გაკეთებული აქვთ ჯგუფები მესენჯერში, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლის ფეისბუქ-გვერდი ემსახურება სკოლის სიახლეების გაზიარებას საზოგადოებისთვის. სკოლის ვებ-გვერდი ახლა იქმნება და მალე აისახება მასზე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლას აქვს მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე ვებ-გვერდზე გააზიაროს ყველა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები;
2. დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები;
3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
4. სკოლის განვითარების სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები;
5. სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
6. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მაგ., კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად, რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და ამისთვის სთავაზობენ პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებებს, სხვადასხვა სახის შემეცნებით ღონისძიებებს, რაც განაპირობებს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებულია მოსწავლე და მისი შესაძლებლობები. საგნობრივი კურიკულუმები სრულადაა მოსწავლეზე ორიენტირებული. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, რაც გულისხმობს, რომ მისაღწევი შედეგები საფეხურის დონეზე განისაზღვრება და წლიურ პროგრამებს მათი მიხედვით გეგმავენ. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას საგნების მიხედვით გათვალისწინებულია ის მეთოდოლოგია, ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის მუდმივ მეხსიერებაში დარჩენას. ყველა კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შესასწავლი მასალიდან გამოყოს მკვიდრი წარმოდგენა და მოახდინოს მისი ტრანსფერი ცხოვრებაში. მაგ:, ესთეტიკის კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმები, რომლებშიც ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ხდება სავალდებულო თემატური ბლოკების დაფარვა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის პირველ და მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს გაწერენ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, რომლებიც თანხვედრაში იქნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის ახალ სტანდარტთან. კათედრას აქვს თემატური ბლოკებით და დასამუშავებელი თემებით სრულყოფილად გაწერილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო. მათემატიკაში უმჯობესია კურიკულუმების დიზაინი აგებული იყოს იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდებოდეს გრძელვადიან მიზნებზე: ამჟამად წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგი იქნება, თუ სამიზნე ცნებებს, მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, გადმოიტანენ წინა სვეტში, რადგან სკოლის მაღალ საფეხურებზე კურიკულუმების დიზაინში ეს ნიუანსი გათვალსიწინებულია, ჯობს ამ საფხურზეც შეიცვალოს და სკოლის მათემატიკის კურიკულუმები იყოს ერთნაირ ფორმაში აწყობილი. სამივე საფეხურზე უნდა მუშავდებოდეს აღნიშნული გრძელვადიანი მიზნები, ასევე კარგი იქნება, თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ისეთი კომპლექსური დავალებების შეთავაზებას, რომელთა ფარგლებშიც მოხდება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხის ფარგლებში. მათი შესრულება მოსწავლეებისაგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებასა და შემოქმედებითობას. ინტერვიუს პროცესში ირკვევა, რომ ამ უნარების გასავითარებლად მასწავლებლები ხშირად მიმართავენ პროექტულ სწავლებას, რაც ასევე წარმოადგენს კურიკულუმის ნაწილს. სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, გამოცდილება აქვთ კომპლექსური ხასიათის დავალებებზე მუშაობისა, შესაბამისად, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები შესაბამისობაშია სტანდარტთან. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, ცალკეულ საკითხებზე დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, განსაზღვრულია დავალების იდეები, ცალკეულ შემთხვევებში კონტექსტ- მაგალითები, ასევე, მაგალითები შედარებისათვის, რაც კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებისკენ მიემართება. თუმცა შეინიშნება გარკვეული გამოწვევები, რაც გასათვალისწინებელია, კერძოდ: საგანში ,,მე და საზოგადოება" (III-IV კლ.) საჭიროა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საგანში ,,ჩვენი საქართველო" კი არასრულადაა თემები ასახული, თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კათედრის წევრებმა ინტერვიუირებისას მზაობა გამოხატეს უახლოეს პერიოდში გააუმჯობესონ კურიკულუმის ჩარჩოები. უმჯობესი იქნება, მეტი ყურადღება დაეთმოს კონტექსტ მაგალითების სამიზნე ცნებასთან და ქვეცნებებთან შესაბამისობასაც. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, თითოეულ კლასში წარმოდგენილია ერთი კომპლექსური დავალება მაინც, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას, უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, ქვეცნებები, სასწავლო თემები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნობრივად არის შერჩეული და შეესაბამება ერთმანეთს. სახელმწიფო ენაში მესამე-მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს, რა რესურსებს გამოიყენებს მასწავლებელი სასწავლო პროცესებში.

მესამე-მეოთხე კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩასწორდეს სამიზნე ცნება ფუნქციური სამეტყველო ქმედება ახალი ცნებით- სიტყვა წინადადება ტექსტი.

სკოლის დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი (პირველ და მეორე კლასში წარმოდგენილი არ აქვთ სრული დაგეგმარება, დააგემარებენ მას შემდეგ რაც ახალ სახელმძღვანელოებს მიიღებენ). III-VI კლასებში ჩანს, თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მასწავლებლებს რჩევა მიეცათ მე-6 კლასში, რომ წილადები-ათწილადები დამოუკიდებელ ერთეულად დაამუშაონ, ცალკე კომპლექსური დავალება შეასრულონ ამ საკვანძო თემისთვის.

პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია 21-ე საუკუნის მოთხოვნების თანახმად. გათვალისწინებულია, რომ მოსწავლეს უნდა განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება, სოციალური უნარები, შეეძლოს სოციუმთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია. ამისთვის სკოლაში ხორციელდება სასკოლო და საკლასო პროექტები, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან, უყალიბდებათ გუნდურობის განცდა, უმაღლდებათ მოტივაცია და კრიტიკული აზროვნების უნარი. კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ მიემართება ესგს მიზნებს, კერძოდ, ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, რაც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე გახდეს 21-ე საუკუნის სრულფასოვანი მოქალაქე. ვინაიდან ბუნებისმეტყველება I-VI სტანდარტი ახალია, სახელმძღვანელოებიც ახალი არჩეულია, ამიტომ I-II კლასების კურიკულუმები სათანადოდ არაა დამუშავებული, თუმცა არსებობს მონახაზი, რაზეც კათედრამ ერთობლივად იმუშავა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ახორციელებენ ეფექტურ ინტერვენციებს. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საერთო ჯამში, კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. საფეხურის კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის დონეები და შესაძლებლობები და მორგებულია სწავლის დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს ნებისმიერ განსხვავებული შესაძლებლობისა და საჭიროების მოსწავლესთან მუშაობას, რაც ინკლუზიური განათლების მთავარი პრინციპია. ძირითადად დიფერენცირება ხდება პროდუქტის სხვადასხვა, მოსწავლისათვის სასურველი სახით წარდგენის მიხედვით. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა, საჭიროების შემთვევაში, მასწავლებლებს აქვთ მზობა კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები შექმნან. სკოლას აქვს რესურსოთახისთვის საჭირო ფართი, თუმცა ამჯერად სხვა დანიშნულებით იყენებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება და მეხუთე -მეექვსე კლასებში განმსაზღვრელი შეფასება თანხვედრაშია ესგ-ს მოთხოვნებთან, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მექანიზმები. სკოლა პირველ-მეოთხე კლასებში ეყრდნობა განმავითარებელ შეფასებას, ხოლო მეხუთე-მეექვსე კლასებში - განმსაზღვრელს. კომპლექსური დავალების შერულების შეფასებისთვის კი სკოლა იყენებს სოლოტაქსონომიას, რომელიც ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. განმავითარებელი შეფასების გააქტიურების მიზნით კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში სკოლა მუდმივ ძიებაშია, ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად სრულდება კომპლექსური დავალებები. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრებზე აქვთ სხვადასხვა სახის რუბრიკები შესაბამისი აქტივობების შესაფასებლად.
ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმს შეიმუშავებენ წინა წლის კურიკულუმის რევიზიისა და გადასინჯვის შედეგად, გამოვლენილ საჭიროებებს კი ასახავენ ახალ კურიკულუმებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რის საფუძველზეც სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის;
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
3. კათედრების სხდომის ოქმები დაწყებით საფეხურზე;
4. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების პორტფოლიო;
5. თემატური გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა - სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ხშირად მიმართავენ პერსონაჟის როლის მორგებას, თამაშით სწავლებას, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიუში აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები (წარმოდგენილია პროექტები სხვადასხვა საგნის მიმართულებით), რომლებიც ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. აღნიშნეს, რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიმდინარეობს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ, კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგების მისაღწევად. ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რაც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიციას. სხვადასხვა სქემისა და მაორგანიზებლების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს და გააანალიზონ, რა ფაქტორები ახდენს მათზე გავლენას. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, სხვადასხვა სქემებისა და გრაფიკული მაორგანიზებლების გამოყენებას. ეს ადასტურებს, რომ მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მეტაკოგნიცია, ანუ სწავლის სწავლა. სწავლა-სწავლების მიზანია მოსწავლისთვის გამჭოლი უნარების განვითარება. მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, როგორ შეასრულა ესა თუ ის დავალება, განსაზღვრავს, როგორ და რაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა. შესაბამისად, მასწავლებლები ცდილობენ, დავალებები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. თუმცა არ არის დანერგილი თვითშეფასების პრაქტიკა, სადაც მოსწავლე აღწერს შესრულებულ სამუშაოს, რა გააკეთა კარგად, რა გაუჭირდა, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა კომპლექსური ან სხვა ტიპის დავალების შესრულებისას. სკოლის მხრიდან არის მზაობა, რათა ამგვარი აქტივობა მომავალში იყოს მხარდაჭერილი და წახალისებული. ასევე მომავალში ითვალისწინებენ თვითშეფასებისა და მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკების შემუშავებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, გამოავლინოს შემოქმედებითი მიდგომა პროდუქტის შექმნისას, გამოიყენოს მეტაკოგნიტური სტრატეგიები, დაამყაროს კომუნიკაცია თანაკლასელებთან ნამუშევრის წარდგენის პროცესში და სხვ. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლეები არა მხოლოდ იძენენ დეკლარატიულ ცოდნას, არამედ პროცედურულ და პირობისეულ ცოდნასაც. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ, ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. სასკოლო და საგნობრივი კურუკულუმები ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას, რომლებიც აისახება მოსწავლეთა შესრულებულ დავალებებში, სხვადასხვა სასკოლო და საკლასო პროექტში, კომპლექსურ დავალებებში და არაფორმალურ აქტივობებში. ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება მოსწავლეთა მიერ ნათლად ჩანს როგორც კომპლექსურ დავალებებში, ასევე სკოლაში განხორციელებულ უამრავ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნასა და პრობლემის გადაჭრაზე, მოიაზრებს რაიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროდუქტის შექმნას, რაც ვერ მოხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების გარეშე. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსურ დავალებებს; ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომლებიც მას საშუალებას მისცემს აწარმოოს აღნიშნული ოპერაციები. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით უბიძგებენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენებისაკენ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლის ცოდნათა გაერთიანება, თავმოყრა და გამოყენება, ამისთვის კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში თემატურად იგეგმება მასალა, რომელიც მოიცავს იმგვარ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გამთლიანებას და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ცოდნის ორგანიზების და გამთლიანებას ემსახურება კოპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც ყოველი თემის ბოლოს იწერება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი საფეხურისათვის;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირები სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), კონტექსტ-მაგალითებს შორის. კომპლექსური დავალებები კი აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ, ხელს უწყობს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები. სასურველია, ჩარჩოებში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითები მეტად იძლეოდეს საკითხის, ქვეცნებების დამუშავების საშუალებას. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მასწავლებლები კათედრაზე აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, რაც ეხმარება მათ სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ არსებული გამოცდილება განვითარებას ჰპოვებს მომავალშიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება, თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილია სხვადასხვა შეფასების რუბრიკები - ზოგადი რუბრიკები, დაგეგმილია სადიაგნოსტიკო შეფასება. თვითშეფასების განაცხადის თანახმად,სკოლა დაწყებით საფეხურზე ძირითადად იყენებს განმავითარებელ შეფასებას (ზეპირი და წერილობითი), რაც საშუალებას აძლევთ შეაფასონ მოსწავლის არა მარტო აკადემიური მიღწევები, არამედ მოახდინონ მოსწავლის ჰოლისტური შეფასება და მხარი დაუჭირონ მის განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. გეგმავენ, უფრო აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეაფასების ინსტრუმენტები.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისას იყენებს სხვადასვა ფორმას: პრეზენტაციებს, გამოფენებს, წერით დავალებებს და სხვა. ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონსტრუქციული უკუკავშირი თუ შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან, რაში ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. კათედრა მზადაა, რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ,,ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რაც მნიშვნელოვანი კომპონენტია დაწყებითი კლასებისათვის. მასწავლებლებს წარდგენილი აქვთ სემესტრის შეჯამების მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც დაწვრილებითაა შეჯამებული სემესტრის მიმდინარეობის ყველა პროცესი. დირექცია და შეფასების ჯგუფი გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდება სხვადასხვა დავალების შეფასების მექანიზმს. ვერიფიკაციის ჯგუფში ნაკლებად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ჩართულობა. მომავალში სკოლა ეცდება, გააუმჯობესოს ვერიფიკაციის მექანიზმი მოსწავლეთა ჩართულობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლა კანონმდებლობის სრული დაცვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანას და საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, დირექტორი პედსაბჭოს ოქმის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას. ბრძანების საფუძველზე კი ხდება eschool-ის ბაზაში მოსწავლეთა შესაბამის კლაში გადაყვანა. სკოლაში ინახება მატერიალური ჟურნალები შენახვის განსაზღვრული ვადით. 2021-2022 საწავლო წელს კი სკოლა გადავიდა ელექტრონული ჟურნალების წარმოებაზე, რომელიც ასევე იწარმოება ყველა იმ წესის დაცვით, რომლებიც ეტაპობრივად მიეთითება სკოლას. სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია ინახება კანონის სრული დაცვით, ხოლო მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსური დავალებების ნიმუშები ინახება შესაბამისი საგნის კათედრაზე განსაზღვრული დროით, თუმცა შენახვის წესის ოფიციალური ფორმა სკოლას არ აქვს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი კლასებისათვის;
2. შეფასების რუბრიკები;
3. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
4. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
5. შემაჯამებლების ანალიზი;
6. თვითშეფასების კითხვარი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც, კერძოდ, თემები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების დროს, გამოიკვეთა პედაგოგთა ღიაობა და მიმღებლობითობა, რაც ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია პოზიტიური სასკოლო კლიმატისთვის. ყველას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა, ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს. გარდა ამისა, ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რასაც ადასტურებს სკოლაში გამართული აქტივობები, განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კათედრის წევრები მუდმივად ორიენტირებულები არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში. კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს მათ მიერ შემუშავებულ გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკებზე დაყრდნობით, გასცემენ რეკომენდაციებს და ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, პრაქტიკულად როგორ უწყობენ ხელს პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის დონეზე სადამრიგებლო საათებით, მოსწავლეების უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებით, შეფასებისას გაცემული კონსტრუქციული უკუკავშირით, რაც განაპირობებს ნდობასა და მიმღებლობას სასკოლო საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წევრებს შორის. ასევე, პოზიტიური კლიმატის მაჩვენებელია სკოლის მიერ გაზიარებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტების დამადასტურებელი მასალები, საინტერესო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც ქმნიან დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იქ, სადაც, ყველას შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

2.განხორციელებული პროექტები;

3.სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ. პროექტი;

4.ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება;

5.მასწავლებლებთან ინტერვიუები;

6.თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. რუბრიკაში წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ კათედრები სამომავლოდ, მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს დირექციასთან ინტენსიური თანამშრომლობით, შედეგებს ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით განახორციელოს სიახლეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ სასწავლო პროცესის ანალიზზე დაკვირვებით გამოტანილი გადაწყვეტილებები, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემების გამოკვეთის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამიტომაც მონიტორინგის მიზანი არის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და გაძლიერება . ის ხელს შუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას და ახალი შესაძლებლობების წარმოჩენას. სკოლა გეგმავს შექმნას მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც გაითვალისწინებს სამ მთავარ მიმართულებას.ესენია: ანგარიშვალდებულება, მიღწევა და დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით (შეფასება). კურიკულუმის დანერგვის პროცესი სკოლისთვის ყველაზე მთავარი და პრობლემური გამოწვევაა. სიახლეა მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას არ აქვს ამჟამად, პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მონიტორინგის აღწერა და ანალიზი. მნიშვნელოვანია, მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთოს საჭიროებები, კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები და სწორად შეფასდეს, რა შესაძლებლობები და რესურსები აქვს სკოლას იმისთვის რომ კურიკულუმი წარმატებით განხორციელდეს. სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია კურიკულუმის დანერგვა, განხორციელება და შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმების დაუფლება, რაზეც სკოლა მაქსიმალურად იზრუნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა-ანალიზზე დაფუძნებით, რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;
2.კათედრის ოქმები;
3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
4.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას, ასევე თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. ამავდროულად, ის გეგმავს და ატარებს დიაგნოსტიკურ ტესტირებებს, რაც შესაძლებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აძლევს ერთმანეთს შეადაროს და ჰოლისტური სახით წარმოადგინოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები. განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ცდილობენ მის დაგეგმვას იმგვარად, რომ მონაცემების შეგროვება მოხდეს მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც შეამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და შესაძლებლობას მისცემს მათ სრული სურათის წარმოსადგენად. სასკოლო დოკუმენტაციის თანახმად მოსწავლის შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იყოს მოსწავლე, მასწავლებელი, დამრიგებელი. გათვალისწინებულია, რომ შეგროვდეს მრავალფეროვანი წყარო: საგნობრივი პროგრამები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, მასწავლებლის პორტფოლიო და სხვ. სკოლა გეგმავს, რომ კიდევ უფრო დახვეწს სასწავლო პროცესის შეფასებას, რისთვისაც გამოიყენებს მრავალფეროვან მეთოდებსა და სტატეგიებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: შესასვლელი და გამოსასვლელი ბარათები, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები,დაკვირვება, ტესტირება. ყოველი თემის ბოლოს ტარდება ტესტირება. რითაც ადგენენ, მოსწავლემ რამდენად გაიაზრა საკითხი.
მასწავლებლებთან ინტერვიუს საშუალებით ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, მოსწავლის შესაძლებლობების, შესასწავლი თემისა და საკითხის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, სწავლის პერიოდის, ინტერესების, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის დონის გათვალისწინებით, რაც იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ამდენად, მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული საკითხი უზრუნველყოფს. სამომავლოდ გეგმავენ შეფასების რუბრიკების გადახედვას, დახვეწას, საჭიროებებზე უკეთ მორგებას, რომ ახალი მიდგომებით შეფასება უფრო მოქნილი, ვალიდური და ობიექტური გახადონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით , შეფასების ანალიზის ამსახველი მასალებით, ჩანს, რომ სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ხერხი. მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს, რომ იკვლევენ მოსწავლეთა ინტერესებს დაკვირვებით, გასაუბრებით, მშობელთა ჩართულობით. ამავე დროს სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალ სასწავლო წელს გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, ტესტირება, ეს მათ საშუალებას მისცემს, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრობლემა. ასევე დაგეგმილია ჩატარდეს სადიაგნოსტიკო შეფასებები საჭიროების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები სწავლების თითქმის ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, თვითშეფასების ჩანაწერებით, მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სხვადასხვა კუთხით. შეფასებისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეზე ზემოქმედების არაერთ ფაქტორს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, ,,სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის პროექტში“ მოიაზრებს ყველა იმ ფაქტორის ზემოქმედებას, რომლებიც მომავალში გავლენას მოახდენს მოსწავლეთა შეფასების სრული სურათის შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;
2.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
3.კათედრის ოქმები;
4.მოსწავლეთა ნამუშევრები;
5.მასწავლებელთა რეფლექსიები;
6.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია, რომ „ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წარმოჩინდა, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“ აღნიშნულია, რომ „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. “ ჩანს სკოლის ხედვა, როგორ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით, მათ აღნიშნეს, რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში როგორც კლასის, ისე საფეხურის დონეზე. ასევე გაითვალისწინებენ პრობლემებს, რომლებიც კურიკულუმის დანერგვის პროცესში წარმოიშვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;

2.შეფასების ვერიიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
4.კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლას კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მოსწავლეთა შესაძლებლობები, მშობლების წინადადებები. შესაბამისად, გეგმავენ სასკოლო აქტივობებსაც. ზეპირი გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისგან და ასე გეგმავენ პრიორიტეტებს,რომლებიც შემდეგ აისახება სასკოლო კურიკულუმში. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას, თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესის კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, მის შემუშავებაში სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული მონაწილეობს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედსაბჭოს ინტერესები, მშობელთა შეხედულებები, რასაც კვლევებით ადგენენ. კათედრებზე ცალკე მუშავდება როგორც საგნობრივი კურიკულუმი, ასევე ზოგადი სახის წინადადებები და მოსაზრებები, რაც წარედგინება დირექციას. სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიაზრებს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად შემდეგი საკომუნიკაციო არსების გამოყენებას: ელექტრონული ფოსტები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი. კლასის ხელმძღვანელები ახდენენ მშობლის ინფორმირებას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, ბავშვთა უფლებების, დასწრების და სკოლის მიერ დაგეგმილი სასკოლო და სასწავლო აქტივობების შესახებ. სკოლაში არის საინფორმაციო დაფა, გაკეთებული აქვთ სხვადასხვა სახის ჯგუფები მესენჯერში, სადაც საჭიროებისამებრ ხდება გაზიარება. სკოლის ფეისბუქ-გვერდი ემსახურება სკოლის სიახლეების გაზიარებას საზოგადოებისთვის. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

3.თვითშეფასების კითხვარი.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას აშკარად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსტმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილ მტკიცებულებებში. სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში. ამ დოკუმენტებში გრძელვადიანი მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. კარგი იქნება, თუ დაამატებენ ყველა კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAplha-ს და ა.შ. პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებლი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კომპლექსური დავალებები ზოგ შემთხვევაში არასრულყოფილია, გადის მხოლოდ ერთ სამიზნე ცნებაზე, დანარჩენი ცნებები კი გვერდზე რჩება. ნაწილობრივ არასწორი იყო კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგიაში, რაც დაბალი ქოუჩინგის შედეგია. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. საგნობრივი კურიკულუმები სრულად ითვალისწინებს ესგ-ით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შედგენილია სტანდარტის შესაბამისად, ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება, სოციალური უნარები, შეეძლოს სოციუმთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია. ამისთვის სკოლაში კომპლექსური დავალებების გარდა ხორციელდება სასკოლო და საკლასო პროექტები, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან, სკოლაში მოქმედებს სტემკლუბი, მოსწავლეები ეჩვევიან კლუბური მუშაობის პრინციპებს, უყალიბდებათ გუნდურობის განცდა, უმაღლდებათ მოტივაცია და კრიტიკული აზროვნების უნარი. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად შედგენილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, ცალკეულ საკითხებზე დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, განსაზღვრულია დავალების იდეები, კონტექსტ მაგალითები, ცალკეულ შემთხვევებში ასევე მაგალითები შედარებისათვის. საკითხები, სამიზნე ცნებები, კონტექსტმაგალითები შესაბამისობაშია, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრების საშუალება იძლევა. შეინიშნება გარკვეული გამოწვევებიც, გაუმჯობესებას საჭიროებს მერვე კლასის კურიკულუმის ჩარჩო (ისტორია, თემებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება), რაც შეეხება საგან ,,მოქალეობის" კურიკულუმის ჩარჩოებს, არაა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, თუმცა აქვთ გასულ წელს განხორციელებული დავალებები (რაც აღნიშნულია რესურსი 12-ში და დადასტურეს ინტერვიუს დროსაც), გეგმავენ მათ განხორციელებას მომავალ სასწავლო წელსაც, შესაბამისად, ასახავენ კურიკულუმშიც. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **საბაზო საფეხურზ**ე სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რომლებიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. კათედრაზე წარმოდგენილი შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის დონეები და შესაძლებლობები და მორგებულია სწავლის დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს განსხვავებული შესაძლებლობისა და საჭიროების მოსწავლეებთან მუშობას. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა, საჭიროების შემთვევაში, აქვთ მზობა კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები შექმნან. სასწავლო პროცესი საგნობრივი რესურსების გარეშე წარმოუდგენელია. სკოლას წლიურ სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ყველა ის რესურსი, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის. თანამედროვე სწავლება წარმოუდგენელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე. ამ კუთხით სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შეუძლია მოიძიოს ნებისმიერი ინფორმაცია. ასევე სკოლის ბიბლიოთეკა მდიდარია სასწავლო რესურსებით, რომლებითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. სამწუხაროდ, სკოლას არა აქვს სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო კაბინეტ-ლაბორატორია, თუმცა გააჩნია ნაბეჭდი თვალსაჩინოება ქიმიასა და ბიოლოგიაში პოსტერების სახით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. კათედრების მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროსაც, გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. სკოლას აქვს მზაობა მიზნობრივად მოამზადოს და გამოიყენოს შეფასების რუბრიკები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისა და მათი მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით. კათედრებს გააჩნიათ სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილი შეფასების სისტემა, რომლის მოდიფიცირებასაც ახდენს საგნობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება თანხვედრაშია ესგ-ს მოთხოვნებთან, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მექანიზმები. სკოლა ამ ეტაპზე ეყრდნობა განმსაზღვრელ შეფასებას, რადგან ჯერ კიდევ მოსწავლე და მშობელი ორიენტირებულია მაღალ ქულაზე, რაც მათი მოტივაციის წინაპირობაა. კომპლექსური დავალების შერულების შეფასებისთვის კი სკოლა იყენებს სოლოტაქსონომიას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში სკოლა მუდმივ ძიებაშია, ამ ეტაპზე შეძლებისდაგვარად სრულდება კომპლექსური დავალებები. განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან, მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას, რისთვის მზაობასაც გამოთქვამენ სკოლის მასწავლებლები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

5. კათედრების მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კურიკულუმის ჩარჩოს დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებლებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. უნდა მოხდეს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გაძლიერება, შედეგების განხილვა დინამიკაში, გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩოკურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზნად და მიემართება საგნების/ების სტანდარტს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, წინა წლებშიც აქტიურად განუხორციელებიათ არაერთი კომპლექსური დავალება, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზეც აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
2.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3.შეფასების რუბრიკები;
4.კათედრების შემაჯამებელი ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისია**

2. საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში კარგადაა გაწერილი თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების შესაძლებლობას. შესატანად შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ განხილული თემის დამუშავების სტრატეგიებია. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას, პროდუქტის სახით შედეგების წარმოდგენას. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან არჩეული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

2.მასწავლებლებთან ინტერვიუები;

3.თემატური გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მასწავლებლები კათედრებზე აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, რაც ეხმარება მათ სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში. ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ არსებული გამოცდილება განვითარებას ჰპოვებს მომავალშიც. საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნას, რომელსაც ის იღებს კონკრეტულ საგანში. კათედრებზე გაცნობიერებული აქვთ, რომ სამიზნე ცნებაა მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლის პროცესი ეფუძნება, მოსწავლეს მუდმივად სჭირდება პასუხები კითხვებზე, რისთვის სწავლობს, რა არის სწავლის მიზანი, რასაც მკვიდრი წარმოდგენები პასუხობს. მნიშვნელოვანია საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეს აძლევს გზას, როგორ დაამუშაოს ინფორმაცია. ამ მიზნით იგეგმება და ტარდება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე გასვლას. თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე არის ჩატარებული ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მხოლოდ ერთ სამიზნე ცნებას მოიცავს. კათედრა მუშაობს კომპლექსური დავალებების დახვეწაზე, დიფერენცირებასა და ახლის შექმნაზე. კათედრაზე არ არის კომპლექსური დავალებების რეფლექსია როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან, რაზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება, თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება არაფორმალური აქტივობები, რომლებიც დასტურდება წარმოდეგნილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინოს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა საბაზო საფეხურზე, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა პედაგოგმა ფაქტიურად თვითრეფლექსია წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი, თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. შეფასება არის ვალიდური, ფასდება ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა თანაბრად სამართლაინია მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. კათედრებზე შეფასების რუბრიკები პედაგოგთა ჩართულობით მუშავდება, რომლებიც გაკვეთილის დასაწყისში ეცნობება თითოეულ მოსწავლეს. მის სანდოობაზე და ობიექტურობაზე მუთითებს ისიც, რომ წლების მანძილზე სკოლაში არ შემოსულა არცერთი განცხადება სემესტრულ გამოცდასთან დაკავშირებით ნიშნის ამაღლების მოთხოვნით. კათედრაზე ყველა მასწავლებელს წარდგენილი აქვს სემესტრის შეჯამების მოხსენებითი ბარათები, სადაც დაწვრილებითაა შეჯამებული სემესტრის მიმდინარეობის ყველა პროცესი. კათედრის ხელმძღვანელი თავის მხრივ მოხსენებითი ბარათის სახით ანგარიშს აბარებს დირექტორს გაწეული მუშაობის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს მოსწავლეთა შეფასების მონაცემებს, შემაჯამებელ დავალებებს, განმავითარებელ შეფასებებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2.შეფასების რუბრიკები;
3.მასწავლებლებთან ინტერვიუები;
4.ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
5.შემაჯამებელი ოქმი;
6.თვითშეფასების კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს, ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე იგეგმება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები და აქტივობები, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომლებიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოში. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორები, ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. დასტურდება ზეპირსიტყვიერად განხილული და ზეპირად წარმოდგენილი შესრულებული კომპლექსური დავალებებით, განხორციელებული პროექტებით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც ჩანს და მასწავლებლები ინტერვიუს მსველობის დროსაც ადასტურებენ, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესში თანაბრად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. საბაზო საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ურთიერთანამშრომლობის კულტურა გამოიხატება სხვადასხვა გზით, როგორებიცაა ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, სასკოლო გარემო პოზიტიურია, ურთიერთობები მშვიდი და ჰარმონიულია, დაცულია კომუნიკაციის ფორმები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთიერთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითეოეული წევრი გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2.ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება;
3.მასწავლებლებთან ინტერვიუები;
4.თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის, პროცესის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწოს, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის თვითშეფასების ანგარიშში წერია რომ, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ კათედრაზე წინარე გამოცდილებას კურიკულუმის განხორციელების შესახებ. ისინი კათედრებზე წარადგენენ ანგარიშებს, ისმენენ და ითვალისწინებენ კოლეგების აზრს. ხარისხის მართვის ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებელს აძლევს უკუკავშირს. მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასების რუბრიკებს. მიმდინარე წლის კურიკულუმის ანალიზმა გამოკვეთა რიგი პრობლემები: ყველა კომპლექსური დავალება ყველა თემას ვერ ფარავდა. შესაბამისად, ეტაპობრივად ხდება ანალიზის შედეგების გათვალისწინება და კურიკულუმების მოდიფიცირება. სკოლისთვის სიახლეა მეთოდოლოგიური ჩარჩოს გეგმა, რომელმაც უნდა გამოკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მონიტორინგის შედეგები როგორ აისახება კურიკულუმის და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ამგვარი მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელსაც აუცილებლად შეიმუშავებს მომავალი სასწავლო წლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. სკოლის თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ მიღებულ უკუკავშირს მასწავლებლები იყენებენ სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები ურთიერთდასწრებისას გასცემენ რეკომენდაციებს. სკოლის პედაგოგები ეხმარებიან ერთმანეთს კარიერულ ზრდაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, თვითშესაფების რუბრიკის შევსების პროცესში ეხმარებიან ყველა იმ საჭიროების გამოვლენასა და ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავებაში, რომლებიც პედაგოგს მისი სამომავლო განვითარებისთვის სჭირდება. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლაში თანამშრომლობითი ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სკოლას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემების გამოკვეთისა და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამიტომაც მონიტორინგის მიზანი არის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭრა და გაძლიერება .ის ხელს შუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას და ახალი შესაძლებლობების წარმოჩენას. სკოლა გეგმავს შექმნას მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც გაითვალისწინებს სამ მთავარ მიმართულებას - ანგარიშვალდებულებას, მიღწევასა და დაგეგმვას. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სკოლისთვის ყველაზე მთავარი გამოწვევაა. სიახლეა მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას არ აქვს ამჟამად, პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მონიტორინგის აღწერა და ანალიზი. მნიშვნელოვანია,მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთოს საჭიროებები, კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწორად შეფასდეს, რა შესაძლებლობები და რესურსები აქვს სკოლას იმისთვის, რომ კურიკულუმი წარმატებით განხორციელდეს. სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია კურიკულუმის დანერგვა, განხორციელება და შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმების დაუფლება, რაზეც სკოლა მაქსიმალურად იზრუნებს. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.**ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

2. შემაჯამებელი ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. შეფასების რუბრიკები შედგენილია ესგ სტანდარტების ინდიკატორებზე დაყრდნობით. სკოლა გეგმავს, რომ შეფასებისას გამოიყენებს სხვადასხვა გზას და საშუალებას, როგორებიცაა დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მოხდება მონაცემების შეგროვება ვერბალური ან ინტერვიუს საშუალებით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლა მაქსიმალურ ყურადღებას გაამახვილებს განმავითარებელი შეფასების სწორად განხორციელებაზე, რაც მოგვცემს მოსწავლის პიროვნულ, ემოციურ, სოციალურ განვითარებაზე ფოკუსირების შესაძლებლობას**. ინდიკატორი შესაბამისია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ შეფასების პროცესში გამოიყენებს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა: შესასვლელი და გამოსასვლელი ბარათები, მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები, დაკვირვება, ტესტირება. ყოველი თემის ბოლოს ტარდება შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი. რითაც დგინდება მოსწავლემ რამდენად გაიაზრა შესწავლილი საკითხები. ასევე გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას საკლასო წერის ინსტრუმენტის გამოყენებით. შეფასება -ეს არის ანალიზის და მონაცემების შეგროვების პროცესი. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის უნარები, შესაძლებლობები და სხვა ასპექტები. ამგვარად მივიღოთ ამომწურავი ინფორმაცია, ეს კი საკითხის მრავალი კუთხით შესწავლას მოითხოვს. სკოლას აქვს გამოყენებული როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, როგორებიცაა მასობრივი ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვა, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორებიცაა დაკვირვება და ჩანაწერები. თუმცა არა აქვთ მათი ანალიზი. ამგვარი და სხვა მრავალფეროვანი მეთოდები განაპირობებს შეფასების ჰოლისტურ მიდგომას. სკოლა ამ კუთხით გააააქტიურებს მუშაობას და სასწავლო პროცესში დანერგავს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც იძლევა შესაძლებლობას, განვითარდეს აზროვნების კულტურა, სასკოლო ცხოვრება გააქტიურდეს და გაუმჯობესდეს მოსწავლეთა შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისია.**

4. შეფასებისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თითოეულ მოსწავლეზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. იმავენაირად შეიძლება მოხდეს სხვადასხვა პროცესის ან მოვლენის შეფასებისას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასებისას სწორედ ეს მრავალი ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული, აგრეთვე დრო, სივრცე, სადაც მოსწავლეს უხდება ყოფნა - სახლი, სკოლა, მეგობრები, ის სოციუმი, სადაც მოსწავლე ატარებს დროის დიდ ნაწილს. მომავალში ამ ფაქტორების გათვალისწინება მოგვცემს სრულ სურათს, რამდენად ახდენენ ისინი მოსწავლეზე გავლენას, რათა შეფასება იყოს მიზნობრივი. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები;

2. შემაჯამებელი ოქმი;

3.დამრიგებლის საათი;

4. მასწავლებლებთან ინტერვიუები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისია.**

2. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

2.თემატური გეგმები;

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

4.თვითშეფასების კითვარი;

5. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	✓ ☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც უნდა აისახოს როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, დამუშავების ეტაპზეა, მაგრამ წარმოდგენილია ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე . სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, კათედრის ფუნქციები, დამრიგებელთა მუშაობის პრინციპები, კათედრის ანგარიშებში ასახული აქტივობების ანალიზი ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას, თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორი 2.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, კათედრებზე მასწავლებლებმა გაანალიზეს სასწავლო პროცესი, გამოკვეთეს მოსწავლეთა საჭიროებები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მშობელთა კრებები უზრუნველყოფს მშობლების მოსაზრებების გათვალისწინებას. სასკოლო ადმინისტრაცია მხადამჭერია სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივებისა, რასაც ადასტურებს კიდეც განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ კათედრის წევრები. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე , მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. მასწავლებლებთან ინტერვიუ;
3. კათედრის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
5. კურიკულუმები.

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავარად, რომ ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორინეტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. სასწავლო მიზნები ჩამოყალიბებულია შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად, შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტქესტები. დაგეგმილია ცალკეული საკითხების შესწავლასთან ერთად კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებზე მუშაობისთვისაც მოსწავლეს დასჭირდება ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენება და მაღალი სააზროვნო უნარები. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ შუალედური სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მათ მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების, წინარე ცოდნისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოცდილების გათვალისწინებით. აქვთ მზაობა კიდევ უფრო განავითარონ წარმოდგენილი კურიკულუმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. წარმოდგენილი **საშუალო საფეხურის** წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს, თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში არ არის ასახული ყველა კომპლექსური დავალება, რომლებიც უნდა შესთავაზონ მოსწავლეებს, თუმცა გასაუბრებაზე დააზუსტეს, რომ უკვე შეჯერდნენ, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ და უმოკლეს ვადაში ასახავენ კურიკულუმებშიც. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ, საშუალო საფეხურის გადმოგზავნილი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რომლებიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა, საჭიროების შემთვევაში, აქვთ მზობა კომპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები შექმნან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასების განაცხადი, შეფასების რუბრიკები) ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. აქვთ სოლო ტაქსონომიის მიხედვით შეფასების გამოცდილება. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (პრეზენტაციის შეფასების, ესსეს შეფასების, დისკუსიის შეფასების რუბრიკები). განმავითარებელი შეფასებისათვის, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, ძირითადად იყენებენ ზეპირ უკუკავშირს, ასევე შესასვლელ და გასასვლელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბარათებს, მოსწავლეთა ურთიერთშეფასების რუბრიკას, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად, შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგმება, მომავლი სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე აანალიზებენ შედეგებს (მასწავლებელები წარმოადგენენ ანგარიშებს, განიხილავენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს), რის საფუძველზეც ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, კოლეგები გასცემენ უკუკავშირს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, იპოვოს გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები და ისე დაგეგმოს მომდევნო სასწავლო პროცესი. წარმოდგენილი კურიკულუმები, თვითშეფასების განაცხადის თანახამად, ეყრდნობა წინა წლის კურიკულუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
2.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3.შეფასების რუბრიკები;
4.კათედრის შემაჯამებელი ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, მოცემული დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ინტერვიუში აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესის პარალელურად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობით. სკოლაში ტარდება მხატვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ინტელექტუალური ღონისძიებები (წარმოდგენილია პროექტები), რომლებიც ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. აღნიშნეს, რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას, მარტივიდან რთულისაკენ სვლას. თემების ფარგლებში საკითხების თანმიმდევრობა, მათი შინაარსი ემსახურება ცოდნის კონსტრუირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტებს, მას სჭირდება პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება, საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და განზოგადება. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, ფორმალურ განათლებას აძლიერებს არაფორმალური განათლების კომპონენეტები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას და ზრდის მოტივაციას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ გამოცდილება და მზაობა ფორმალური და არაფორმალური აქტივობები დაგეგმონ ინტეგრიერბულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. საგნობრივ კურიკულუმებში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიის გამოყენებას. საბოლოო პროდუქტის შექმნა მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარებს . თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. გეგმავენ, სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად გამოიყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ასევე სამომავლოდ გეგმავენ, აწარმოონ მოსწავლეთა პორტფოლიოები, რაც დაეხმრება მათ საკუთარი სასწავლო პროცესის გააზრებასა და დაგეგმვაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას, პროდუქტის სახით შედეგების წარმოდგენას. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშიებულად სწავლების საშუალებას აძლევს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს სხვადასხვა საგანში ნასწავლი მასალის ინტეგრირება, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გააჟღერეს, რომ იგეგმება ინტეგრირებული აქტივობების განხორციელება, რაც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებისა და ცოდნათა უთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

2.მასწავლებლებთან ინტერვიუები;

3.თემატური გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნას, რომელსაც ის იღებს კონკრეტულ საგანში. კათედრებზე გაცნობიერებული აქვთ, რომ სამიზნე ცნებაა მთავარი ორიენტირი, რასაც სწავლის პროცესი ეფუძნება, მოსწავლეს მუდმივად სჭირდება პასუხები კითხვებზე, რისთვის სწავლობს, რა არის სწავლის მიზანი, რასაც მკვიდრი წარმოდგენები პასუხობს. მნიშვნელოვანია საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეს აძლევს გზას, როგორ დაამუშაოს ინფორმაცია. ამ მიზნით კათედრებზე იგეგმება და ტარდება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე გასვლას. მუშაობენ კომპლექსური დავალებების დახვეწაზე, დიფერენცირებასა და ახლის შექმნაზე. კათედრებზე არ არის კომპლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეფლექსია როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან, რაზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს, დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს შესასწავლი ტექსტები დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან, ხელს შეუწყობს განცდილის, ნააზრევის გაზიარებას, გააცნობიერებს სხვების პოზიციას და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, ემპათიას, შეძლებს გუნდურ მუშაობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა - ზოგადი რუბრიკები, დაგეგმილია სადიაგნოსტიკო შეფასება. თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა საშუალო საფეხურზე ხშირად იყენებს განმავითარებელ შეფასებას (ზეპირი და წერილობითი), რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს შეაფასონ მოსწავლის არა მარტო აკადემიური მიღწევები, არამედ მოახდინონ მოსწავლის ჰოლისტური შეფასება და მხარი დაუჭირონ მათ განვითარებას. მომავალ სასწავლო წელს გეგმავენ უფრო აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ისინი იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე , სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან, თუ რა ფასდება და რომელი კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნის მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლის მიერ შემუშავებული შიდა ვერიფიკაციის სისტემა გულისხმობს რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრები. მომავალი სასწავლო წლისთვის წარმოსადგენი შეფასების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლას შემუშავებული აქვს და წარმოდგენილია დოკუმენტის სახით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს მოსწავლეთა შეფასების მონაცემებს, შემაჯამებელ დავალებებს, განმავითარებელ შეფასებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2.შეფასების რუბრიკები;
3.მასწავლებლებთან ინტერვიუები;
4.ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
5.შემაჯამებლების ანალიზი;
6.თვითშეფასების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებით. მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ კათედრებზე მასწავლებელთა თანამშრომლობა, ,,კრიტიკული მეგობრის“ უკუკავშირი ემსახურება მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. გეგმავენ გაზარდონ თანამშრომლობა კათედრებს შორის და ასევე მეზობელ სკოლებთან, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. კათედრებზე ხორციელდება ურთიერთადასწრება და შედეგების შეჯამება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობს განივითაროს ძლიერი მხარეები და ყურადღებას ამახვილებს სუსტ მხარეებზე. მასწავლებლები ინტერვიუს დროს საუბრობენ იმაზე, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის აქვთ მზაობა ჩაატარონ მშობელთა გამოკითხვები უკუკავშირის მიღების მიზნით სასწავლო პროცესების შედეგიანად წარმართვისთვის, აწარმოონ დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, ასევე განახორციელონ სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევები მუდმივად გვამყოფებს ძიების პროცესში, ეს მოითხოვს ბევრ შრომას, სასკოლო საზოგადოების ერთობლივ მუშაობას, წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სკოლისთვის ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობელთა მხარდაჭერა, რა კუთხითაც დამრიგებლების შრომაა მნიშვნელოვანი. ყველა კათედრაზე ტარდება გაკვეთილები, რომლებზეც ხდება კათედრის წევრების, ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ან დირექტორის დასწრება. თითოეული ჩატარებული გაკვეთილის განხილვა-გაანალიზება ხდება ერთობლივად, როგორც კათედრის წევრების ჩართულობით, ასევე მხარდამჭერი ჯგუფის მიერ. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში აქტიურადაა გამოყენებული ტექნოლოგიები. მასწავლებლები იყენებენ როგორც უკვე შექმნილ ელ. რესურსებს, ასევე საკუთარს. ხდება გამოცდილების გაზიარება ზეპირი ფორმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას ემსახურება სადამრიგებლო საათები, ერთობლივი ღონისძიებები (მაგ: პროექტები, ექსკურსიები, შეჯიბრებები), ასევე თანატოლგანმანათლებლობა. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა მხარდაჭერა გამოიხატება მათი ინიციატივების წახალისებაში, შემოქმედებითად თავისუფალი გარემოს შექმნაში. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სასკოლო სივრცეში ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ინტერვიუში აღინიშნა, რომ აქვთ მზაობა არსებული პრაქტიკა გააძლიერონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

2.ხარისხის განვითარებისა და პროფესიური მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება;

3. მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ მოახდინოს მონიტორინგი და შეფასება, რაც გულისხმობს იმის დადგენას, რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). იგეგმება დიაგნოსტირება (სასწავლო წლის მანძილზე ერთხელ, თუმცა სასურველია ორჯერ მაინც განხორციელდეს შედეგების შედარებითი ანალიზისათვის), მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. პროცესი წარიმართება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და სკოლის თვითშეფასების განაცხადი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ წარმდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს ადასტურებენ, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერი ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას. სასწავლო პროცესში თანაბრად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. საშუალო საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ურთიერთანამშრომლობის კულტურა გამოიხატება სხვადასხვა გზით, როგორებიცაა ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის გამოიყენება. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;
2.კათედრის ოქმები;
3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
4.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა დღემდე იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას, განმავითარებელი შეფასება მუდმივად ხორციელდება ვერბალურად და კომპლექსური დავალებების შეფასებისას, სადაც ითვალისწინებენ მოსწავლის არა მხოლოდ კონკრეტულ ცოდნას, არამედ, თითოეული საგნის მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე, მისი მსოფლმხედველობის, ღირებულებების სწორი მიმართულებით წარმართვაზე და მათი ემოციური და კოგნიტური უნარების განვითარებაზე, რაც შეფასების ჰოლისტურობას განაპირობებს. სკოლა გეგმავს, რომ შეფასებისას გამოიყენებს სხვადასხვა გზას და საშუალებას, როგორებიცაა დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მონაცემების შეგროვება ვერბალური ან წერილობითი ინტერვიუს საშუალებით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლა მაქსიმალურ ყურადღებას გაამახვილებს განმავითარებელი შეფასების სწორად განხორციელებაზე, რაც მოგვცემს მოსწავლის პიროვნულ, ემოციურ, სოციალურ განვითარებაზე ფოკუსირების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.
სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და წინაპირობის გათვალისწინებით, რაც საშუალებას აძლევთ მოხდეს მოსწავლის მრავალმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების, მოსწავლეებთან საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, კათედრებზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო. განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზე მუშაობაც კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
4. კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორებიცაა: მოსწავლის მოტივაცია, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, მიღწეული შედეგები და არა პიროვნულად მოსწავლე. ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.
კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს და აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;
2.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.კათედრის ოქმები;
4.მოსწავლეთა ნამუშევრები;
5.მასწავლებელთა რეფლექსიები;
6.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა აცხადებს, რომ კურიკულუმის განვითარებისთვის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები, რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. სკოლაში იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებით იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მიღწევების ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების შედეგებს არსებული კურიკულუმების მოთხოვნილებისამებრ, აკეთებენ თვითშეფასებას და მის საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც გადამუშავებული წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. კათედრაზე კურიკულუმის გადასინჯვა ხდება სასწავლო წლის ბოლოს, როცა შეჯამდება შედეგები შემაჯამებელი სამუშაოების, კომპლექსური დავალებების, წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობების მიხედვით. ასევე ხდება მომავალი კლასის აკადემიური მოსწრების დონის და შემადგენლობის გათვალისწინება. როდესაც მოწესრიგდება მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, კათედრაზე მოხდება მათი რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმის 2023-2024წ პროექტი;

2.შეფასების ვერიიფიკაციის მექანიზმი;

3.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

4. კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღი: 10.11.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---